სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან შაბათი, 22 თებერვალი 1997 №20 (385) ფასი 40 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ინგლისის ნაკრების „უემბლიზე“ დამარცხება უაღრესად რთული ამოცანაა, მაგრამ შეუძლებელი არაფერია.



გამორიცხულია, რომ კარგად თამაშისა და დამარცხების შემთხვევაში კმაყოფილი ვიყო.

„უემბლიზე“ მოგების შემთხვევაში ისეთ პრემიებს დავარიგებთ, აქამდე რომ არ ყოფილა.

ისეთ მოთამაშეებზე, როგორებიც არიან ქინქლაძე, შოთა არველაძე, ქეცბაია, ნემსაძე, ცხადაძე და შელია, უარის თქმის უფლება და საშუალება არა გვაქვს.

ყიფიანი გვაიმედებს:

მხოლოდ ამ ციკლის ჩამთავრებაზე და მომდევნოსთვის მზადებაზე ლაპარაკი გაუმართლებელია

ჟურნალისტის და ზოგადად პრესის უმთავრესი თავსატეხი სიახლის შეტყობაა. ამაში ახალი არაფერია. გუშინწინ ზამთრის მცონარობით თავგაბეზრებულ თბილისში ხელის გულზე ობოლი მარგალიტივით გვედო სიახლე, რომელიც აზრთა სამთვიანი ფეხმძიმობის შედეგად იშვა და აქედან თითქმის ორი კვირის შემდეგ, 20 თებერვალს „ბერიკონში“ მის ძეობაზე დავეპატიჟეს.

ნებისმიერი ქვეყნის საფეხბურთო ცხოვრებაში ნაკრების ახალი მწვრთნელის დანიშვნა მოვლენაა. მოვლენის სიდიადეს დრო საზღვრავს. მანამ კი, სანამ დრო თავის სათქმელს იტყოდეს, ზეობს აუცილებელი პროგრამა: უხვადაა მილოცვები, პირველი უხერხული წუთები, მათი განმუხტვის ხშირად სასაცილო მცდელობანი და შიშნარევი მოლოდინი — „აღდგომა და ხვალე“.

ვიდრე საქართველოს ნაკრების ახალი მწვრთნელის დავით ყიფიანის პირველი პრესკონფერენციის ქვემდებარე ანგარიშს დავწერდი, თითქმის საათნახევრიანი აუდიოჩანაწერის გაშიფვრა მომიხდა. ახლა უკვე მტკიცედ მაქვს გადაწყვეტილი, ჩანაწერი იმაზე უფრო დიდხანს შევინახო, ვიდრე ამას ჩვეულებრივ ვაკეთებ ხოლმე. ვინ იცის, იქნებ ეს სწორედ იმ მწვრთნელის ნაბაასევია, ვინც ჩვენს ნაკრებთან ერთად წინამორბედთათვის არნახულ წარმატებას მიაღწევს. თანაც როგორ იწყება ჩანაწერი? პრესკონფერანსიე ახალ მწვრთნელს ულოცავს და ვიდრე სიტყვას მასვე გადასცემს, ჭიქის მხიარული წკრიალიც ისმის. ამ დროს დავით ყიფიანი გასამხნევებლად ნამდვილ „ბორჯომს“ სვამს...

დღეს იმდენი „ნამდვილი „ბორჯომი“ იყიდება, ძნელი გასარკვევია, რომელია მათ შორის ჭეშმარიტად ნამდვილი. როგორც ყველა ჟურნალისტი, მეც საკმაოდ ეჭვიანი გახლავართ და, სიმართლეს ვიტყვი, ეჭვი შემეპარა კონკრეტულ შემთხვევაში „ბორჯომის“ ეფექტურობაში. ყიფიანი უჩვეულოდ აღელვებული მეჩვენა. იმის მიუხედავად, რომ თავადვე შეგვახსენა, ნაკრების მწვრთნელობა ჩემთვის ახალი ხილიაო, ცოტა არ იყოს, გასაკვირი გახლდათ ყიფიანის მღელვარება. საკუთარი, განუზომელი ავტორიტეტის შესახებ ხომ ნაკრების მწვრთნელმა თავად ყველაზე კარგად უწყის. თუმცა, ეს იქნებ იმის ნიშანიცაა, რომ დავით ყიფიანს ახალნატვირთი პასუხისმგებლობაც ბოლომდე გასიგრძეგანებული აქვს.

— პირველ რიგში, მადლობას გიხდით მობრძანებისთვის. ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ ასეთი შეხვედრები ტრადიციული იქნება და ალბათ ნაკრების ხელმძღვანელობაც და თბილისის „დინამოს“ ხელმძღვანელობაც ყოველთვიურად ანგარიშით წარდგება საზოგადოებრიობის, ჟურნალისტების და ფეხბურთის სპეციალისტების წინაშე. კითხვები ბევრი იქნება, მაგრამ თავიდანვე გთხოვთ, იმ ასპარეზითა და ინტერესით შემოვიფარგლოთ, რაც ყველას გაგვაჩნია — ქართული ფეხბურთით და რაც შეეხება ნაკლები იყოს ისეთი კითხვები, რომლებიც ერთმანეთთან ურთიერთობებს, ვიღაცის სიმპატიებს მიეძღვნება. ჩვენ გვაქვს ერთმანეთთან ურთიერთობის გამოცდილება და ვთვლი, რომ კონტაქტი არც ახლა გაგვიჭირდება. რაც შეეხება კლუბსა და ნაკრებს, რომ არ ავურიოთ, ჯერ ერთ თემას მოვრჩეთ და მერეღა გადავიდეთ მეორეზე.

— გთხოვთ, კომენტარი გაუკეთოთ ინგლისიტალიის მატჩს. თუ საიდუმლო არ არის, გვითხარით, ვის გულშემატკივრობდით თამაშამდე და ჩვენს შანსებზეც ვთქვათ.

— რაც შეეხება ინგლის — იტალიის მატჩს, იგი ერთ-ერთი ცენტრალური იყო არამარტო ჩვენს ქვეჯგუფში, არამედ მთელს შესარჩევ ციკლში.

გაგრძელება მეორე გვერდზე

ხომ არ შეიძლება, ფეხბურთელს ისეთი რამ დაავალო, რისი გაკეთებაც არ შეუძლია?



მე არ ვამბობ, რომ ჩვენ არ გვყავს ძლიერი ფეხბურთელები. გვყავს, მაგრამ მეტი გვჭირდება.

რაკი დავთანხმდი, მთლიანად შემიძლია ჩემს თავზე ავიღო პასუხისმგებლობა. ამაში მე მოცილედ არავინ მჭირდება.

გთხოვთ, ჩემს გარეშე არცერთ ფეხბურთელთან ინტერვიუ არ დაიბეჭდოს, თორემ მე თქვენ ვერაფერს მოგიხერხებთ, ფეხბურთელს კი დავსჯი.

ყ ი ფ ი ა ნ ი გ ვ ა ი მ ე დ ე ბ ს

დასაწყისი პირველ გვერდზე

ინტერესი ამ შეხვედრისადმი ძალიან დიდი იყო. მე და ჩემი კოლეგა რეზო ძოძუაშვილი დავესწარით ამ მატჩს. ოთხშაბათს დილით ჩავედით ლონდონში, ინგლისის ფეხბურთის ფედერაციამ დაგვახვედრა ბილეთები და მანქანა. ჩვენი ჩასვლის მისია ორგვარი იყო. პირველი: უფრო ახლოს გავცნობოდით ჩვენს მოწინააღმდეგეს და მეორე: ლონდონში ერთი დღით დაყოვნებულებს შეგვერჩია ადგილი, სადაც დაბინავდებიან საქართველოს ეროვნული და ახალგაზრდული გუნდები. იმედი მაქვს, რომ ბევრმა თქვენგანმა მატჩი ტელევიზიით ნახა, მაგრამ, დამერწმუნეთ, დიდი განსხვავებაა ამ მატჩის ცოცხლად და ტელევიზორში ნახვას შორის. საკმაოდ დაძაბული და მაღალი დონის შეხვედრა იყო. ორივე გუნდმა, ჩემი მოსაზრებით, თანამედროვე ფეხბურთის საუკეთესო თვისებები გამოავლინა. თუმცა, რა თქმა უნდა, ინგლისელები ამ შეხვედრის წინ უფრო წაგებულ მდგომარეობაში იყვნენ, რადგან მათ რამდენიმე წამყვანი მოთამაშე აკლდათ. ესენი იყვნენ მეკარე სიმენი, ადამსი, გესქოინი, რომლის ძალა ყველას მოგეხსენებათ, და შერინგემი, გარდა ამისა, მინდორზე არ გამოვიდა ისეთი ფეხბურთელი, როგორიც ფერდინანდია, რისთვისაც ნაკრების მწვრთნელს ძალიან ბევრი საყვედური შეხვდა. თქვენ ნახეთ თბილისში მისი ძალა და შერერ-ფერდინანდის ტანდემი, რომელიც დარღვეული იქნა, მხოლოდ მატჩის ბოლო 15 წუთში მოქმედებდა.

ინგლისელებმა აშკარად შემტევი სტილი აირჩიეს, ისინი სამი ფეხბურთელით თამაშობდნენ დაცვაში. ესენი იყვნენ გაბაპირა მცველები ნევილი და პირსი და ლიბეროს პოზიციაზე კემპელი. ოთხი ნახევარმცველი ჰყავდათ, აქედან ორი — ბეტი და ინსი საყრდენი ნახევარმცველის ფუნქციებს ასრულებდა, ორიც განაპირა ნახევარმცველი. ლე ტისიე, შერერი და მის უკან მაკმანამანი.

თამაშის მსვლელობამ დაგვანახა, რომ იტალიელების ტაქტიკური მომზადების დონე და მათი თამაში უფრო მომგებიანი იყო თუნდაც იმიტომ, რომ იტალიელები ცნობილნი არიან დაცვის ძალიან მაღალი ორგანიზაციით. მათ დაცვის ხაზში გამოჩნდა ახალი ფეხბურთელი კანავარო, რომელმაც, ჩემი აზრით, გადამწყვეტი როლი შეასრულა იმაში, რომ ინგლისელებმა გოლის გატანა ვერ შეძლეს. „პარმას" ფეხბურთელი შირერის წინააღმდეგ მოქმედებდა. იტალიელების ტაქტიკა უფრო მობილური იყო. ოთხი მცველით, ხუთი ნახევარმცველით, თუ ძოლასაც ვიგულისხმებთ, რომელიც თავისუფლად თამაშობდა კაზირაგის უკან, თამაშმა უფრო გამოიღო შედეგი. პირველი ნახევრის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მცირე ტერიტორიული უპირატესობა ინგლისელებს ჰქონდათ, ხოლო საგოლე მომენტებისა და სიმწვავის მხრივ იტალიელები უკეთ გამოიყურებოდნენ. მეორე ნახევარში კი მასპინძელთა უპირატესობა აშკარა იყო, მაგრამ რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი, რომელიც მათ შექმნეს, ქაოტური იყო.

ეს ინგლისის პირველი მარცხი იყო „უემბლიზე" მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებში, რაზეც დაიწერა კიდეც ინგლისურ პრესაში. ისინი ძლიერ გულნატკენები იყვნენ, რადგან უკეთეს შედეგს ელოდნენ. რაც შეეხება იმას, თუ რა სჯობდა ჩვენთვის, აქ ორაზროვნად არ შეიძლება ვილაპარაკოთ. ვთვლი, რომ, თუ ჩვენ სამომავლოდ რამეზე ვფიქრობთ, ამ მატჩში ფრე ყველაზე მეტად გვაძლევდა ხელს. მით უმეტეს, რომ ინგლისი თამაშით, სულ ცოტა, ფრეს მაინც იმსახურებდა.

— თქვენ ბრძანეთ, თუ ჩვენ რაიმეზე ვფიქრობთ, ინგლის — იტალიის თამაშში ყველაზე მეტად ფრე გვაძლევდაო ხელს. რაზე ვფიქრობთ ჩვენ?

— პირველ რიგში, ჩვენ რეალისტები უნდა ვიყოთ. ორი უმნიშვნელოვანესი მატჩია წაგებული. თითოეული მატჩი ექვსი ქულის ტოლფასია. როცა პირად კონკურენტთან აგებ, იქ სამ ქულაზე აღარაა ლაპარაკი. როგორც არ უნდა მიუდგეთ ამ საკითხს, მხოლოდ ამ ციკლის ჩამთავრებაზე და მომდევნოსთვის მზადებაზე ლაპარაკი გაუმართლებელია. უნდა ვეცადოთ მაქსიმუმს მივაღწიოთ. ფეხბურთელებისადმი წაყენებული მოთხოვნები და პრეტენზიები სწორედ ამას უნდა ემყარებოდეს. ახლავე გეტყვით, რომ უაღრესად რთული ამოცანაა ინგლისის ნაკრების დამარცხება „უემბლიზე", მაგრამ შეუძლებელი არაფერია. ჩვენთან წაფორხილების შემთხვევაში ინგლისელები გასვლის შანსს კარგავენ. რაც შეეხება პოლონეთის ნაკრებს, ვთვლი, რომ ჯერ არავის ჰყავს სათვალავში, მაგრამ დამერწმუნეთ, ეს გუნდი საკმაოდ დიდ სიურპრიზებს შემოგვთავაზებს. მათი სათვალავიდან ამოგდება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, მით უმეტეს, რომ მხოლოდ ორი მატჩი აქვთ ჩატარებული და აქედან ერთი მოგებული.

ჩვენ უნდა განვაწყოთ ფეხბურთელები იმისთვის, რომ თამაშის ხარისხი გავაუმჯობესოთ. უნდა მოვთხოვოთ მათ თავდადება და თამაშის გამოკეთების კვალობაზე უკეთეს შედეგსაც უნდა მივაღწიოთ. ჩვენს ფეხბურთელებს დამატებითი ფსიქოლოგიური სტიმული უნდა შეეუქმნათ და ყველანაირად უნდა ვეცადოთ, რომ მათ არ იფიქრონ, აქ ყველაფერი მომთავრებულიაო. შესარჩევი ციკლების ისტორიას ძალიან ბევრი პრეცედენტი ახსოვს იმისა, რომ გადაწყვეტილი საქმე შემოტრიალებულა და სხვაგვარად დამთავრებულა. ისე არ გამიგოთ, თითქოს გარანტიას ვიძლეოდე, რომ საქართველოს ნაკრები 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვდება, მაგის გარანტიას ღმერთი ვერ მოგვცემს, მაგრამ ჩვენ მაინც უნდა ვესწრაფოთ ამას, რადგან უამისოდ არც ფეხბურთელი წავა წინ, არც მოთამაშეთა ოსტატობა ამაღლდება და გულშემატკივრებიც და ჟურნალისტებიც დაგვრახავთ.

— როგორ შედეგს ჩათვლით არადამაკმაყოფილებლად?

— არადამაკმაყოფილებლად ისეთ შედეგს ჩავთვლი, როცა გულშემატკივარი სტადიონიდან წავა და გუნდის თამაშით უკმაყოფილო დარჩება, როცა გუნდი არ აჩვენებს ისეთ თამაშს, როგორიც ქართულ ფეხბურთს ახასიათებს. რაც შეეხება შედეგს, ისიც გამორიცხულია, რომ კარგად თამაშისა და დამარცხების შემთხვევაში კმაყოფილი ვიყოთ.

— როგორი იქნება მატერიალური სტიმული ინგლისელებთან მატჩისთვის?

— 25 თებერვალს საქართველოს ფეხბურთის ხელმძღვანელთა წინაშე უნდა წარვდგე, ჩემს გეგმებს გავაცნობ. გეგმა ყველაფერს მოიცავს, ამიტომაც ახლა არ შეშძლია ამაზე ზუსტად რამეს თქმა, მაგრამ ვიცი: „უემბლიზე" მოგების შემთხვევაში ისეთ პრემიებს დავარიგებთ, აქამდე რომ არ ყოფილა.

— გამოდის, რომ ინგლისთან სამინაო მატჩში ისეთი პრემიები იყო დანიშნული, რომ მათთვის თამაშიც არ ღირდა.

— ერთი მაგალითი მინდა მოგიყვანოთ: ხორვატიის ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე. შესაძლოა, შემომედავოთ კიდეც, ამ გუნდის ფეხბურთელები პროფესიონალები არიან და უცხოეთის მაღალკვალიფიციურ გუნდებში თამაშობენო, მაგრამ ვიცი, რომ ხორვატიის ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატზე უარი განცხადა პრემიების მიღებაზე, მაგრამ მათ რომ ითამაშეს, ღმერთმა ქნას, ყველა ნაკრებმა ასე ითამაშოს. ეს ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომელსაც არ უნდა გაეექცეთ და მაქსიმალურად უნდა შეეუწყოთ ფეხბურთელებს ხელი, მაგრამ მათაც უნდა გაიგონ, რომ ისინი დღეს სახელმწიფო პოლიტიკას ემსახურებიან. მაშინ კი, როდესაც სახელმწიფოში ბევრი გვყავს გაუბედურებული, მაპატიეთ და, საკუთარი სახლიდან გამოგდებული, ულუკმაპუროდ დარჩენილი ხალხი, ზღაპრულ პრემიებზე ლაპარაკი, უბრალოდ, არაეთიკურია. თუ ღირსი ხარ, რა თქმა უნდა, კუთვნილი უნდა მიიღო, მაგრამ, პირადად, აქ უფრო მნიშვნელოვნად ღირსება მიმაჩნია. ისე ნუ გამიგებთ, თითქოს მხოლოდ ღირსებისთვის ვათამაშებთ ფეხბურთელებს და პრემიებს არ მივცემთ, მაგრამ მთავარი შენი ქვეყნის სახელით თამაშია.

— ბუნებრივია, ნაკრების ფორმირებისას გეგს ლეგიონერებზე აიღებთ. აპირებთ თუ არა მათი თამაშის ხილვას?

— რა თქმა უნდა. ჯერ კიდევ ინგლისში ყოფნისას ვესაუბრე ჭინქლაძეს, ყველაშვილს და „მანჩესტერ სიტის" მთავარ მწვრთნელს კლარკს. ინფორმაცია მივიღე. ამას გარდა, ნაკრების ყველა წევრს მე და ჩემი კოლეგები ადგილზევე, კლუბში თამაშისას ვნახავთ. ზოგ შემთხვევაში მათი ნახვა გაგვიადვილდება კიდეც, რადგან ჩვენი ფეხბურთელების დიდი ნაწილი, ფაქტიურად, ორ გუნდშია თავმოყრილი — „ალანიაში" და „ტრაბზონსფორში". მათ გარდა „სიტისაც" მოვინახულებთ და ქეცბაიას აეკსაც. მალე ვიხილავ „ტრაბზონსფორის" ერთ-ერთ თამაშს და „ალანიას" გახსნით მატჩს.

— მოხდება თუ არა ნაკრების ძირეული რეკონსტრუქცია?

— წლების მანძილზე საქართველოს ნაკრებმა საკმაო რაოდენობის მატჩები ჩაატარა და მოგვწონდა თუ არა იგი და აკმაყოფილებდა თუ არა თანამედროვე მოთხოვნებს, ფაქტია: ნაკრების ძირითადი ჩონჩხი გამოკვეთილია. ისეთ ფეხბურთელებზე უარის თქმის უფლება და საშუალება არა გვაქვს, როგორებიც არიან ჭინქლაძე, შოთა არველაძე, ქეცბაია, ნემსაძე, ცხადაძე, შელია... არ გავაგრძელებ, შეიძლება ვინმე კიდეც გამომრჩეს. გარკვეული დრო დასჭირდება იმას, სანამ ამათ ახალგაზრდები კონკურენციას გაუწევენ, თუმცა ახლავე ვიტყვი, რომ ნაკრებში კონკურენცია აუცილებლად იქნება და თანაც ძალიან მაღალი. ყველა ის ფეხბურთელი, რომელიც იმ მოთხოვნებს არ დაექვემდებარება, რაც აუცილებელია საქართველოს ნაკრების თამაშისას, გასაკეცხი იქნება და საქართველოს ნაკრების ფორმას ვერ ჩაიცმევს. გპირდებთ, არცერთ სიტყვას და მოქმედებას არ დავმალავთ.

რაც შეეხება ტაქტიკურ მონახაზს, აქ რა თქმა უნდა, ცვლილებები იქნება კონკრეტული მატჩისთვის მოთამაშეთა მზადყოფნის დონიდან გამომდინარე.

გეტყვით, რომ ნაკრების მწვრთნელის პოსტზე ეს ჩემი დებიუტია. ნაკრებს კი, მოგეხსენებათ, თავისი სპეციფიკა აქვს. ვაპირებ შეეხვდე იმ დიდ მწვრთნელებს, რომლებიც თავის დროზე ნაკრებთან მუშაობდნენ ჩვენში თუ საზღვარგარეთ და ვესაუბრო მათ იმ სპეციფიკიდან გამომდინარე, როცა ფეხბურთელს თამაშამდე რამდენიმე დღით ადრე ლებულობ, გაქვს მის შესახებ ინფორმაცია და ამის მიხედვით ახდენ სათამაშო ტაქტიკის გამომუშავებას. ხომ არ შეიძლება, ფეხბურთელს ისეთი რამ დაავალო, რისი გაკეთებაც არ შეუძლია?

ამ ნაკლის გამოსწორების უმთავრესი პირობაა კონკურენცია. არ მინდა, ეს სიტყვა პირდაპირ გაიგოთ, მაგრამ ჩვენი ფეხბურთი ღარიბია მაღალი კლასის ფეხბურთელებით და თუ შეეფერებით იტალიის და ინგლისის, თუნდაც პოლონეთის ნაკრებებს, ამოსარჩევი მათ გაცილებით მეტი ჰყავთ, ვიდრე ჩვენ, ეს ჩემი სუბიექტური აზრია. მე არ ვამბობ, რომ ჩვენ არ გვყავს ძლიერი ფეხბურთელები. გვყავს, მაგრამ მეტი გვჭირდება.

— რა მნიშვნელობას მიანიჭებთ 30 მარტს სომხეთთან მატჩს? იქნება ეს ბევრი ახალი ფეხბურთელის გამოცდადათვალიერება, ერთი შემადგენლობის ტაქტიკური მომზადება ანუ ინგლისთან თამაშის მოდელირება თუ სხვა რამ?

— იცით, რომ 29-30 მარტი ევროპაში გამოცხადებულია საკონტროლო მატჩების დღედ. მაგალითად, ინგლისი 29 მარტს მექსიკას მასპინძლობს „უემბლიზე". ინგლისელებმა ისეთი სტილის და ყაიდის ნაკრები შეარჩიეს, რომელიც ჩვენსას ესადაგება, რადგან მექსიკელები ლათინურ ფეხბურთს თამაშობენ. ჩვენ კი, ჩვენდა სამწუხაროდ, უარი მივიღეთ შეედეთისგან, ბელარუსისგან, ნორვეგიისგან, უკრაინისგან და ყაზახეთისგან. ერთადერთი სომხეთი დაგვთანხმდა. რა თქმა უნდა, უფრო ხელსაყრელი იყო ძალისმიერ, უფრო ინგლისურ ყაიდაზე მოთამაშე გუნდთან შეხვედრა, მაგრამ ისაც დიდი პლიუსია, რომ შინ საკონტროლო მატჩის ჩატარება და ფეხბურთელთა მოწვევა შეგვიძლია. რაც შეეხება იმას, გაცნობა რომ ახსენეთ, გასაცნობი არავინაა, ყველას ძალიან კარგად ვიცნობთ, რადგან ნაკრების შემადგენლობის 99-მა პროცენტმა ჩემს ხელში გაიარა ჯერ კიდევ ბავშვობის ასაკიდან.

— ნაკრების მეორე მწვრთნელმა რევაზ ძოძუაშვილმა განაცხადა, რომ უპრიანი იქნებოდა საქართველოში მოთამაშე ფეხბურთელთაგან სიბაზისო ნაკრები შემდგარიყო. ეთანხმებით თუ არ ამ მოსაზრებას?

— თვითონ იდეა ძალიან კარგია, მაგრამ ვთვლი, რომ მისი განხორციელება გარკვეულ სიძნელეებთან იქნება დაკავშირებული. ამ ნაკრებს თამაში დასჭირდება ნაკრებისვე დონეზე. ამ მიმართულებით კი ძალიან დიდ სიძნელეებს წავაწყდებით, რადგან ყველა წამყვან ნაკრებს 2000 წლამდე საკონტროლო მატჩების კალენდარი უკვე შედგენილი აქვს. ვიფიქრებთ, რამდენად მიზანშეწონილი იქნება მეორე ნაკრების შექმნა, რომელშიც ნაკრების კანდიდატები შუალედურ რგოლში გამოიცდებიან. თუ ამ ნაკრებს ჩამოვაყალიბებთ, სარგებლობაც უნდა მოგვიტანოს.

— თუ აპირებთ ჩვიძესთან თანამშრომლობას და რა არ მოგწონდათ მის მუშაობაში?

— საშას წასვლასთან და ჩემს დანიშნასთან დაკავშირებით ძალიან ცუდი აჟიოტაჟი ატყდა ჩვენს პრესაში. კარგად მესმის, რომ თქვენ პროფესიონალები ხართ და თქვენი მთავარი მოვალეობაა, საზოგადოებას დროზე მიაწოდოთ ინფორმაცია. აქ ყველა გაზეთი მაქვს წამოღებული და მინდა გითხრათ, რომ ის აჟიოტაჟი — ფედერაციიდან რომ გამოვდივარ, ჩვიძე რომ „ვოლეოში" ჯდება, მე „მერსედესში", ის ერთ მხარეს მიდის, მე მეორე მხარეს — ვთვლი, რომ არ არის სწორი. არც დაპირისპირებაა სწორი, რადგან ჩვენ ყოველთვის მეგობრები ვიყავით. რაც შეეხება მასთან თანამშრომლობას, ხვალ ჩემთან სახლში შეხვედრა მაქვს მასთან და ვოვა პანოვთან. ეჭვი არ მეპარება, რომ საშას ისევე შესტკივა დღეს ქართულ ფეხბურთზე გული, როგორც მე, როგორც თქვენ და ქუჩაში ყველა გამვლელს. ამიტომ ის დიდი გამოცდილება, რაც ამ კაცმა დააგროვა, გამოსაყენებელია. რაც შეეხება იმას, თუ რა მომწონდა და რა არ მომწონდა, პირდაპირ გეტყვით, არ ვარ ჯერ ამისთვის მზად. და საერთოდ, ეს თქვენი შესაფასებელია.

— ვინ დაგეხმარებათ ნაკრებში მუშაობისას ძოძუაშვილის გარდა?

— იცით, რომ ძოძუაშვილი ნამდვილად მეხმარება და ამ ფაქტთან დაკავშირებით ტრაგედიის შექმნა არ არის საჭირო. ვის რაზე და როგორ დაუდგა თმები ყალყზე, მე საერთოდ არ ვიყავი საქმის კურსში. ჩვენ ადრეც გვიმუშავია და ახლაც ვიმუშავებთ ერთად, ხოლო თუ როგორ მოხდება ფუნქციის განაწილება, ეს ჩვენი პირადი საქმეა. პასუხისმგებლობაზეც მინდა გითხრათ. მე თუ დავთანხმდი, მთლიანად შემიძლია ჩემს თავზე ავიღო პასუხისმგებლობა. ამაში მე მოცილედ არავინ მჭირდება. რაც შეეხება იმას, თუ ვინ დამეხმარება, ვთვლი, რომ 10-12 დღე არასაკმარისია ისეთი გადაწყვეტილების მისაღებად, რომელიც შესაძლოა სანანებელიც გაგვიხდეს.

— ინგლის-იტალიის თამაშში მთელი 90 წუთის მანძილზე მაღალი ტემპი იყო. რამდენად შეძლებთ ტემპში ინგლისელთა აყოლას?

— ინგლისელების ტემპი ყოველთვის მაღალია, მოედნის ცენტრში ბურთი თითქმის არ ჩერდება. მათი ტემპში აყოლა ჩვენ მოგებას არ მოგვცემს. იყო მატჩის მსვლელობისას შემთხვევები, როცა იტალიელები ძალიან ჭკვიანურად და რაციონალურად ტემპს აგდებდნენ.

თანამედროვე ფეხბურთში ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება ფეხბურთელების კონდიციას, მათ ფიზიკურ მზადყოფნას. ჩვენი მიზანია, სწორედ ის ფეხბურთელები გამოვიყვანოთ „უემბლიზე" და შემდეგ მატჩებშიც, რომელთა ფიზიკური კონდიციები კონკრეტული მატჩისთვის იქნება მაქსიმალურად მზადა. ...ქა ...ბიან ბრძოლისუნარიანებენ შეძლებენ და ეჭიროს ის საუკეთესო თვისებები, რომ თავს ჩვენ ინგლისელებზე მაღლა ვდგავართ. ვთქვათ, ტექნიკა, ბურთის ფლობის უნარი და იმპროვიზაცია.

— ჩვიძის წასვლის შემდეგ გაირკვა, რომ შეკრებებზე უფროსს მწვრთნელს უხდებოდა ნავთქურის მოტანა და შეშის დაჭრა. გქონდათ ამ საკითხზე ფედერაციისთან საუბარი თუ თქვენც გაწფილი ხართ ამ საქმიანობაში? იქნებ ამის მოგვარებასაც მერაბ ჟორდანია სჭირდება?

— ეს მარტო ჩვენი პრობლემა არ არის. თუ გაინტერესებთ, დილით მეც ნავთზე ვიყავი წასული და სახლში მივიტანე. თბილისის „დინამოს" ბაზაზე მყოფ ნაკრებს კი, როგორც ადრე, არც ახლა მოაკლდება ყურადღება. პრინციპული შეთანხმებაა მიღწეული „დინამოსა" და ფედერაციის ხელმძღვანელობასთან, რათა მსგავსი პრობლემები აღარ განმეორდეს და ფეხბურთელებმა მაქსიმალურად კომფორტულად იგრძნონ თავი. რაც შეეხება ელექტროენერგიის პრობლემას, იგი მოხსნილია, რადგან საკმაოდ მძლავრი ქვესადგური დაიდგა ბაზაზე.

— „დინამოში" მუშაობისას მატჩამდე ინფორმაციის მიწოდების გაურბოდით. ნაკრებში მუშაობისასაც იგივე განმეორდება თუ არა?

— მინდა სწორად გამიგოთ: თქვენ ძალიან ბევრნი ხართ, მე კი ერთი. ყველა ჟურნალისტის სურვილი რომ დავაკმაყოფილო და სულ ცოტა 15 წუთი ველაპარაკო, გუნდთან მუშაობის საშუალება არ მექნება. ფორმა უნდა გამოვნახოთ, რათა ერთად შევიკრიბოთ. გთხოვთ, მთავარი მწვრთნელის გარეშე არცერთ ფეხბურთელთან ინტერვიუ არ დაიბეჭდოს, თორემ მე თქვენ ვერაფერს მოგიხერხებთ, ფეხბურთელს კი დავსჯი.

არცერთ თვენთაგანს არც ვარჯიშზე დასწრებას დავუშლი და არც სხვა რამეს, თუმცა შესაძლოა, ერთი ვარჯიში დახურული იყოს.

— გამოითქვა მოსაზრება, რომ ჯამარიულისა და ქინქლაძის ერთად თამაში წამგებიანია, რადგან ორივე ერთიდაიგივე სამუშაოს შესრულებას ცდილობს.

— ინგლისში ყოფნისას ვესაუბრე „სიტის" მწვრთნელს, რომელმაც მითხრა, ქინქლაძეს ამპლუა შეეუცვალე. წინ ვათამაშებ, ფორვარდის პოზიციაზე. თავისუფლად და ბოლო მატჩებში მისი პროგრესი თვალსაჩინოაო. ჩემი აზრით, გაჩნია, რა დავალებას მისცემ ფეხბურთელებს და როგორ შეგისრულებს იგი მას. თუ დავალებები იდენტურია, ორი ისეთი ფეხბურთელი, როგორებიც არიან ქინქლაძე და ჯამარაული, ერთმანეთის ხელის შეშლის მეტს არაფერს გააკეთებენ, მაგრამ თუ დავალებები გამიზნულია და სწორი, ორივეს ძალიან დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია.

— რეზო არველაძის მიწვევას თუ აპირებთ?

— მოდით, პირადი სიმპატიებით ან ანტიპატიებით ნუ მივუდგებით ერთმანეთს. თუ რეზო არველაძე ისეთ ფორმაში იქნება, რომ საჭიროდ ჩათვლი მის მოწვევას, რატომაც არა. მთავარია, ჩვენ არ შეცდეთ და ისეთი კაცი არ მივიწვიოთ, რომელშიც შეეცდებით.

— ვის მიწვევას ვარაუდობთ საქართველოს ჩემპიონატში მონაწილეთაგან?

— მე მხოლოდ კანდიდატები შემიძლია დაგისახელოთ. მათ ჯერ კიდევ უნდა დავაკვირდეთ. ისინი იქნებიან „დინამოდან", „ბათუმიდან" და „ტორპედოდან". ვინც კარგად ითამაშებს, ყველას ექნება ნაკრებში მოხვედრის შანსი.

— კარის დაცვის ვის მიიღობთ?

— ბევრი მათგანია სანახავი — ჩინეთში მოთამაშე ჟორჟოლიანი, გრიშიკაშვილი, ტოგონიძე, ზოიძე, დევაძე, ჩხეიძე...

თბილისის „დინამოზე" საუბარი ჟიჟიანმაც და ჟურნალისტებმაც სეზონის გახსნამდე ორი დღით ადრე ამჯობინეს, მანამდე კი „დინამოს" მწვრთნელმა ერთხელაც გაიმეორა, გუნდის მიზანი საქართველოს ჩემპიონობა და თასის მოპოვებაა.

ვახტანგ ბზიკაძე

გაგუას ბიჭები პორტუგალიაშიც წავლენ

18-24 ივლისს პორტუგალიაში გაიმართება ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური დღეები. ამ ასპარეზობაში გამოსასვლელ ქართველ სპორტსმენთა შორის იქნებიან ფეხბურთელებიც. 1980-81 წლებში დაბადებულთა ნაკრების წევრები, რომელთაც რეზო გაგუა წვრთნის. მწვრთნელის თქმით: „თამაშებში მონაწილეობის უფლება აქვთ 1980 წლის აგვისტოს შემდეგ დაბადებულ ჭაბუკებს. ამიტომ ევროპის ჩემპიონატის ფინალში გასული შემადგენლობიდან ბევრს ვეღარ წავიყვანთ. ნაკრებიც, ცხადია, მნიშვნელოვნად განახლდება. რაც შეეხებათ 16 წლამდელთა ნაკრების წევრებს, მათ ორშაბათს, 24 თებერვალს შეკრებთ თბილისში, ეროვნულ სტადიონზე და ევროპის ჩემპიონატისთვის მზადების მეორე ეტაპს დავიწყებთ. უკვე დადგინდა, რომ ექვს საკონტროლო შეხვედრას გავმართავთ: 25 თებერვალს „მრეტებთან“, 28-ში „შევარდენთან“, 1 მარტს 35-ე საფეხბურთო სკოლასთან, 3-ში „მორკინალთან“ და ბოლოს, 7 მარტს „დინამო-2“-თან ან 1979 წლიანთა „ნორჩ დინამოელთან“.

ტრანსფერები მორჩა, ტრანსფერები გრძელდება

პირველი წრის დამთავრების შემდეგ ფეხბურთის ფედერაციამ სეზონის წინ დამტკიცებული გათამაშების დებულების ზოგიერთი პუნქტი შეცვალა და ეს ცვლილებანი, რა თქმა უნდა, აღმასკომის სხდომამაც დაამტკიცა. ამ სიახლეთა შესახებ თავის დროზე კი გაუწყეთ, მაგრამ ერთი ფაქტის გახსენება მაინც მოგვიწევს. კერძოდ იმისა, რომ ახალი წესით გუნდებს შემატებული ფეხბურთელების განაცხადში შეყვანის უფლება მიეცათ, ასე რომ, თუ ადრე განაცხადში 22 მოთამაშე ჰყავდათ, ახლა 26-ის ყოლა შეუძლიათ. მოგეხსენებათ, პირველი წრის მერე ჩემპიონატის მონაწილე გუნდებში გარკვეული გადაჯგუფებანი მოხდა, ბევრმა მოთამაშემ ახალ კლუბს შეაფარა თავი. სატრანსფერო ვადა კი, დებულებით, 20 თებერვალს ამოწურა. ვეცადეთ გაგვეგო, რომელმა გუნდმა ვინ შეიმატა, მაგრამ ტყუილად გავიარეთ — ჯერჯერობით ფედერაციის საშეჯიბრო განყოფილებას პირველი ჯგუფის კლუბების არცერთი სრულყოფილი განაცხადი არ გაჩნია. არადა, გუნდები ახალშემატებული ფეხბურთელებით რა ხანია ემზადებიან, ზოგი უცხოეთშიც კი. როგორც სანდო წყაროებიდან შევიტყვეთ, საშეჯიბრო განყოფილება სატრანსფერო ვადის დახურვას ჯერ სულაც არ აპირებს, არადა, დათქმული დრო უკვე ორი დღის ამოწურულია. იმასაც ამბობენ, არ არის გამორიცხული, საბოლოოდ განაცხადები მხოლოდ 5 მარტისთვის იყოს მზადო. მოკლედ, ჯერ ისეა საქმე, რომ ღმერთმა და ფედერაციის მუშაკებმა თუ იციან, როდის გვეღირსება ჩვენც და გულშემატკივრებსაც განაცხადების საბოლოო ვარიანტები.

გოგიჩა პოლტავაში დაგვიპატიჟეს...

პოლტავის „ვორსკლასთან“ თამაშის შემდეგ კახა გოგიჩაშვილს, რომელმაც ამ მატჩამდე ცხრა ღლით ადრე დაიწყო ვარჯიში თბილისელთა მხრიდან, მატჩის საუკეთესო მოთამაშის პრიზი გადასცეს, მაგრამ ტურნირის ჟიურის გარდა გოგიჩა თვალში „ვორსკლასაც“ მოუვიდა და ამ გუნდის ხელმძღვანელობამ კახას წელიწადნახევრიანი კონტრაქტი შესთავაზა. გაზეთ „სპორტივნა უკრაინას“ რედაქტორმა დიმიტრი ალექსანდრენკომ მაცნობა, რომ „ვორსკლა“ უკრაინაში კიევის „დინამოს“ შემდეგ ყველაზე მდიდარ გუნდად ითვლება, იარემჩუკსა და შარის, მაგალითად, თვეში 10-11 ათას დოლარს აძლევენ და ალბათ კახასაც ამგვარ პირობას შესთავაზებენო. გოგიჩას პოლტაველთათვის უთქვამს, ხელმძღვანელობას დაველეპარაკებიო და მარილაც დაურეკავს თბილისში. საბოლოოდ კი „ვორსკლასთვის“ უარი უთქვამს, რადგან მოსკოვის ცეესკაც ეპატიჟება და კეპროსის აელიც.

არის ასეთი ფორვარდი

ქართველი რომ უცხოეთში თავს გამოიჩენს, თავისთავად გასახარი ფაქტია. კახა გოგოლაძემ ესენგეს თასზეც და თურქმენბაშის ტურნირზეც მშვენივრად ითამაშა და ქება რომ არ მოიკლო, ბუნებრივია, გვესიამოვნა, თუმცა გულიც დაგვწყდა იმის გახსენებაზე, რომ საქართველოში უამრავი ნიჭიერი მოთამაშე იზრდება, რომლებიც უკეთეს შემთხვევაში უცხოეთს ეხიზნებიან, უარესებზე კი აღარას ვამბობ. კახა გოგოლაძეს მხოლოდ ერთხელ მოუწია შედარებით ნორმალური პირობების მქონე გუნდში ყოფნამ — 1993 წლის „ბურიაში“. მაშინ იყო სწორედ, კარის დალაშქვრით რომ გამოიჩინა თავი. მეტად მას აქ გასაქანი არ ჰქონია (თუ არ ჩავთვლით კუტივაძის „დინამოში“ ორთვიან ვარჯიშს). ფეხბურთს ვინ ჩიეის, ოჯახი ჰყავდა შესანახი და საამისოდ თურქმენეთს მიაშურა, სადაც, საფეხბურთო ტრადიციების რა გითხრათ, მაგრამ გაზი და დოლარები კი ბლომად აქვთ. ჰოდა, მოულოდნელად, 28 წლისამ უცხოეთშიც აალაპარაკა ბევრი და საქართველოშიც გაგვახსენა, რომ რის ასეთი ფორვარდი...

გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

— არა მგონია, როემელიმე ფეხბურთელს თავისაზე მეტად სხვა ქვეყანაში ერჩივნოს თამაში. მეც ასეთი ვარ. მაგრამ, ეტყობა, აქ ჩემი ფეხბურთელობისა არ სჯეროდათ და ამიტომაც იყო, რომ ნორმალურ გუნდში ვერ მოვხვდი. თანაც ჩვენში პირობებიც არ არის სასურველი. მე კი მსურდა, საქართველოში ნორმალურ გუნდს მივეწვიე, მაგრამ არავის არაფერი უთქვამს და ხომ არ შევეხვეწებოდი. ამიტომაც წავედი თურქმენეთში, სხვა არაფერი დამრჩენოდა.

— ესენგეს თასზე პირველად მოხდა, რომ ტურნირის სიმბოლურ ნაკრებში თურქმენთა გუნდის მოთამაშე დაასახელეს. ნიაზოვის ტურნირზეც კარგად გითამაშია. ეტყობა, ნორმალურ პირობებში ემზადები...

— რასაც მპირდებიან, მისრულებენ კიდეც. სავარჯიშო პირობებიც ძალიან კარგია. რომ არ ვითამაშო, ჩემი სირცხვილიც იქნება. მონდომებაც არ მაკლია. თანაც, ისეთ ტურნირებში მომიწია თამაშმა, სადაც ყველა ცდილობს თავის გამოჩენას. თურქმენეთში საჭმელ-სასმელის და ცხელი წყლის პრობლემა არ გვაქვს. პრობლემა მხოლოდ სასმელი წყლის ნაკლებობაა. რა თქმა უნდა, იმათი ფეხბურთის დონე ჩვენსაზე გაცილებით დაბალია. მე იმნაძესთანაც მიმუშავია, ჯანელიძესთანაც, აკობიასთანაც, ხურცილავასთანაც და ერთხელ კიდევ დავრწმუნდი, რომ იქაური მწვრთნელები ჩვენებურებზე ბევრით დაბალი კვალიფიკაციისანი არიან. იქ სიახლეები მხოლოდ ელეფუჯა გუგუშვილის ჩასვლით დაიწყო. ამაშიც გამიმართლა. მეც, რაც შემეძლო, გამოვავლინე. საქართველოში კი „გურიას“ შემდეგ არც ერთ გუნდში ასეთი შესაძლებლობა არ მომცემია. რამდენჯერაც რამეს დამპირდნენ, იმდენჯერ მომატყუეს და ამის შემდეგ ძალიან ძნელი იყო გულიანად თამაში. თურქმენეთში კი ფიქრადაც ვერ გავივლებ, რომ შეიძლება მომატყუონ. იქ ყველაფერი ნორმალურად არის.

— ტყავაძეზე რა იტყვი?..

— ბუბაც ჩემსავით არ არის?! ბევრი არ მეგულება საქართველოში მსსავით ნიჭიერი მოთამაშე. არადა, ვინ დაინტერესდა მისით? მიეცა თავის გამოჩენის საშუალება და მშვენივრადაც ათამაშდა. წარმოგიდგენია, თურქმენეთში სულ 300 ფეხბურთელია ოფიციალურად აღრიცხული და ასეთი ქვეყნის ჩემპიონმა კინაღამ მოსკოვის „სპარტაკი“ დაამარცხა, უკრაინის მეორე გუნდს კი მოუგო კიდეც. საქმე ისაა, რომ ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრი ფეხბურთის დიდი მოყვარულია და სურს ეს სახეობა განავითაროს. გარჯა კი უკვალოდ არ ეკარგება. შეგვიქმნა პირობები და პირველი შედეგები, ეფიქრობ, ურიგო არ იყო. ყოველ შემთხვევაში, თურქმენები ესენგეს თასის ნახევარფინალში არასოდეს გასულან. ამან ფეხბურთისადმი ინტერესი ძალიან გაზარდა. ერთი წელია, თურქმენეთში ვთამაშობ და ბოლოს რომ ვნახე მაყურებელთა მოზღვავება ტრიბუნებზე, ასეთი არ მახსოვს. თურქმენბაშის ტურნირის მატჩებს 5-6 ათასი კაცი ესწრებოდა, რაც ჩვენთვის სასაცილოც კია, მაგრამ თურქმენებისთვის სარეკორდო რიცხვია. იქ ცხენოსნობა უფრო პოპულარული იყო. ახლა კი ხალხი ფეხბურთელებსაც დიდ პატივს სცემს, ქუჩაში გვცნობენ და შემოგვეჯარებიან ხოლმე.

— ესენგეს თასის შემდეგ რომელიმე გუნდში ხომ არ მიუწვევიხართ?

— ვიცი, რომ რუსეთის რამდენიმე კლუბს სურდა ეს, თუმცა პირადად მე არავინ დამლაპარაკებია.

— ბოლოს და ბოლოს, რა გადაწყვიტე, ითამაშებ თურქმენთა ნაკრებში?

— თამაში თავისთავად პრობლემა არ არის. მთავარია, ჩვენთან როგორ გაიგებენ ამას. შეიძლება ამისთვის ვინმემ გამამტყუნოს კიდეც. მაგრამ მე, ფეხბურთელმა რა უნდა ვქნა? ნებისმიერი მოთამაშის ოცნება ეროვნულ ნაკრებში თამაშია, მე აქ არავინ მიწვევს, ამ დროს კი თურქმენები ნაკრებში თამაშს მთავაზობენ. მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში თამაში კი ჩემი ოცნება იყო. რა თქმა უნდა, მერჩივნა, ჩვენს ნაკრებში მეთამაშა, მაგრამ ეს ხომ ჩემზე არ არის დამოკიდებული. თუმცა, ჯერ თურქმენებისთვის თანხმობა არ მითქვამს...

მერაბ გამულაშვილი

ზოიძე დინამოს ჯერ არ გაეცალა

თბილისის „დინამოს“ პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ გვაცნობა, რომ ირაკლი ზოიძესთან შეთანხმების თანახმად, გუნდის მეკარე წლის ბოლომდე დარჩება „დინამო“. „თუ ზოიძით რომელიმე ძლიერი კლუბი დაინტერესდა, ბუნებრივია, ჩვენ მას არ შევაბრკოლებთ. თუმცა, ჯერ ასეთი გუნდი არ ჩანს. ამასთან, ზოიძეს უკეთეს პირობებსაც შევუქმნით“ — დასძინა მერაბ ჟორდანიამ.

ახლა ქალებზეც ვინერვიულოთ?

გაირკვა ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ქვეჯგუფში საქართველოს ნაკრების მეტოქეთა ვინაობა. ჩვენი ქალები კენჭისყრამ B ჯგუფში მოახვედრა თურქეთის, ბულგარეთის, ჩეხეთისა და იუგოსლავიის ნაკრებებთან ერთად. შეჯიბრება წლეულს, აგვისტოში დაიწყება და გაისის სექტემბრამდე გასტანს. ტურნირი, კაცთა ანალოგიური შეჯიბრის მსგავსად, მიმოსვლით ჩატარდება. საქართველოს ქალთა ნაკრებს მიხეილ ჯარმელაშვილი უთავკაცებს.

ოთხი მატჩი, სამი წაგება, ერთი ფრე — უკრაინის, ყაზახეთის, უზბეკეთის მეორე და ბელარუსის მეექვსე გუნდებთან?! ოთხ შეხვედრაში გატანილი სამი გოლი და მიღებული რვა?! უკბილო და ქაოტური შეტევები, ოთხ თამაშში მეტოქის კარში ათამდე დარტყმა?! განა ეს ყველაფერი არ ბადებს ქვესათაურად მოხმობილ კითხვას?

თურქმენეთის დედაქალაქში დინამოელებთან ერთად გატარებულმა თორმეტმა დღემ სპორტული და პროფესიული თვალსაზრისით უდიდესი იმედგაცრუება მომიტანა. გუნდი ჩემპიონთა ლიგისთვის ემზადება და... უცებ, ასეთი კატასტროფა, რომელიც მაფიქრებინებს, რომ „დინამოს“ ამ თამაშით, ვიმეორებ, ამ თამაშით, ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრა კი არა, საქართველოს ჩემპიონატში გამარჯვება, ოთხჭულაინი ფორის მიუხედავად, ძალიან უნდა გაუჭირდეს...

მაინც რა იყო დინამოელთა მარცხის მიზეზი? სწორად გამიგეთ, თურქმენეთის ტურნირზე გამარჯვება თუ მარცხი იმდენად იყო ჩვენთვის საინტერესო, რამდენადაც ეს შეჯიბრი „დინამოსთვის“ ბოლო მოსამზადებელი ეტაპი გახლდათ და გუნდს უკვე ჩამოყალიბებული სახე უნდა მიეღო. პირიქით კი მოხდა: მოსკოვში შედარებით წარმატებული გამოსვლის შემდეგ, ასე თუ ისე სახემღებულმა „დინამომ“ ყველაფერი დაკარგა აშხაბადის ხრიოკ, მოედნად წოდებულ ყამირზე. ეს იყო საშუალო დონის გუნდი, რომელიც რაღაცას ფაფხურობდა და როგორც კი მეტოქის აწყობილ თამაშს წააწყდებოდა, თიხისფეხება გოლიათივით იშლებოდა.

მიაქციეთ ყურადღება, საშუალო დონის გუნდი და არა საშუალო დონის ფეხბურთელები-მეთქი, ვთქვი. დიახ, რაოდენ პარადოქსულადაც უნდა ჟღერდეს, გოგოლაძის, ტყავაძის, იარემჩუკის და შარის გარდა, ჩემი აზრით, ტურნირზე მოთამაშე დანარჩენი 140 ფეხბურთელიდან ახლოსაც ვერავინ მოვა, ვთქვათ, ცქიტიშვილთან ან დემეტრაძესთან, აღარას ვამბობ ყიზილაშვილზე და გოგიჩაიშვილზე, რომელთაც ვარჯიში სულ ახლახან გაანახლეს და, ფაქტობრივად, ცალი ფეხითაც კი სჯობდნენ სხვებს. მეტოქეთაგან ვერცერთს შეეძლო, მაგალითად, დემეტრაძისნაირი „პადსება“ ან ცქიტიშვილისნაირი რეიდები. ცქიტოს საოცარი გარღვევა, ჩემი აზრით, იმ მიუწვდომელ მწვერვალად დარჩება სხვებისთვის, რომელსაც ვერასოდეს შესწვდებიან. არა, მეტოქეებს შეურაცხყოფას რა ვაყენებ, უბრალოდ, ცალ-ცალკე ვადარებ ჩვენსა და იმათ ფეხბურთელებს და ჩვენს ბიჭებთან ახლოსაც ვერავის ვაყენებ ვერცერთ საფეხბურთო კომპონენტში, გარდა ერთისა და, ეაგლახ, უმთავრესისა — პროფესიონალიზმში!

დიახ, ჩვენებურები პროფესიონალები არ არიან, ისინი არიან მართლაც ძალზე ნიჭიერი ფეხბურთელები, მაგრამ პროფესიონალებად ჯერ ვერ ჩამოყალიბდნენ, ამის უმთავრესი მიზეზი კი ჩვენი არეულ-დარეული საფეხბურთო მეურნეობაა, თუმცა, არც თავად ფეხბურთელები არიან უბრალონი.

ახლა რაც შეეხება აშხაბადის ტურნირის სამარცხვინო შედეგებს. მარცხის მიზეზი, ბუნებრივია, ბევრია, მაგრამ მთავარი ორია — ერთზე ზემოთ მოგახსენეთ, მეორე კი — ყიფიანია, უფრო სწორად, ყიფიანის არყოფნა... ორმოცდაათი — ორმოცდაათზე, ასე შევაფასებდი ამ ორი მიზეზის პროცენტულ წილს ტურნირზე ნაწვნევ სირცხვილში.

როდესაც ყიფიანის არყოფნაზე ვსაუბრობ, სულაც არ ვაყენებ შეურაცხყოფას „დინამოს“ მეორე მწვრთნელს ნოდარ აკობიას. მეორე მწვრთნელი მეორე მწვრთნელია, მას კლუბში თავისი ფუნქციები აქვს. აკობია პროფესიონალია, თავისი საქმე ჩინებულად იცის, ვიტყოდი, ყველაზე უკეთ საქართველოში. მასთან ფეხბურთზე საუბარი ერთი სიამოვნებაა, მაგრამ აკობია მთავარი მწვრთნელი არ არის და თუ საქართველოს ჩემპიონატში გუნდი უყიფიანოდ გაუყვანია და მოუგია, ეს ინერციითაც შეიძლება მოხდეს, რადგან გუნდს ამზადებს მთავარი მწვრთნელი. ამგვარ მოგებაში, რა თქმა უნდა, თავად აკობიას წვლილიცაა, მაგრამ ყოველ თამაშზე გუნდი მთავარი მწვრთნელის ნაფიქრალ-ნააზრევის განხორციელებას ცდილობს, ამისთვის მთავარი მწვრთნელი მზადაა, პროფესიულადაც და ფსიქოლოგიურადაც. ასევეა ფეხბურთელიც მთავარი მწვრთნელის პერსონის მიმართ, მაგრამ თუკი ფეხბურთელი ჯერ ვერაა პროფესიონალად ჩამოყალიბებული, მაშინ მთავარი მწვრთნელის არყოფნა მასზე მეტად ცუდად მოქმედებს და ზუსტად ეს მოხდა აშხაბადში. ძნელი გასახსენებელია შემთხვევა, როცა ამგვარ ტურნირზე (ეროვნულ ჩემპიონატებს არ ვგულისხმობ) მიზეზთა გამო მთავარი მწვრთნელის არყოფნაში მის შემცვლელს მიეღწიოს რაიმე ხვირიანი შედეგისთვის. თუმცა, წარუმატებლობის მარტო ფეხბურთელებზე გადაბრალება და ნოდარ აკობიას უცოდველად გამოყვანაც არასწორია. რა თქმა უნდა, აკობიამაც დაუშვა შეცდომები, თუნდაც ის, რომ კატეგორიულად არ მოითხოვა „ელმაინსთან“ მატჩის დათქმულ დღეს — 11 თებერვალს თამაში და 10 თებერვალს თამაშს დაყაბულდა. მაგრამ აკობია, ისევე, როგორც ყველა ჩვენგანი, მეორე და მესამე მატჩისთვის ყიფიანის ჩამოსვლას ელოდა...

ყველაზე ნიშანდობლივი ამ მხრივ მეორე, მინსკის „ატაკასთან“ შეხვედრა გახლდათ. ეს იყო ტურნირის უსუსტესი გუნდი. თავიდან ჩვენებმა გოლიც შეაგდეს, დაიმსახურეს ორი პენალტიც, რომლებიც მსაჯმა ცოცხალი თავით არ დანიშნა და უცებ გატყდნენ „დინამოელები, რაც საკმარისი აღმოჩნდა საიმისოდ, რომ გოლი მიეღოთ. მეორე ტაიმის დასაწყისში პენალტი მაინც დაინიშნა ჩვენს სასარგებლოდ. დემეტრაძემ პირველ ჯერზე შეაგდო, მაგრამ საკმარისი იყო, მსაჯს დარტყმის გამეორება მოეთხოვა, რომ დემეს გამომტყველებაზე მივხედი, ველარ გაიტანდა. ამ პენალტიდან ორი წუთის შემდეგ ლისოვსკიმ ლამის მთელი ჩვენი დაცვა მოატყუა და გოლიც გაიტანა, ისე დაზაფრა დინამოელები პენალტის გაცუდებამ. დარჩენილი ნახევარი საათი „ატაკა“ გალახული მოკრივესავით სახეზე ხელებსღა იფარებდა, დინამოელებს, კი, ლამის ყველა შეტევის გოლად ქცევა რომ შეეძლოთ, საგოლე დარტყმის წინ ფეხი უკანკალებდათ. აკობიამ შეცვლები სწორად გაკეთა, სამი ფორვარდიც დატოვა მინდორზე, მაგრამ არა, ფაფხური იყო და არა თამაში...

წვრილ-წვრილი მიზეზები კი სხვაც ბევრი იყო: მინდვრის უხეირო საფარი, რომელზეც ჩვენები ბურთს ვერ აგორებდნენ, ცუდი მსაჯობა, ყოველ მეორე დღეს თამაში, ტურნირისთვის მოუმზადებლობა და ა.შ. დინამოელთა არაპროფესიონალიზმზე ისიც მეტყველებდა, რომ მათ იცოდნენ — ტურნირის მოგება საკმაოდ სოლიდურ თანხას — კაცზე 2000 დოლარს მოიტანდა, ფინალისტობა — ამის ნახევარს, მაგრამ მაინც ვერ განეწყვნენ საბრძოლველად. პირველი მატჩის წაგების მერე ფორტუნამ ისევ გაგვიღიმა: ჩვენმა მძლეველმა „ელმაინ“ „ვორსკლასთან“ წააგო და ორივე მატჩის მოგების შემთხვევაში მაინც გავიდოდით ფინალში, მაგრამ არც ამან გაჭრა...

ისე, ზოგი ჭირი მარგებელიაო. ამ ტურნირმა დინამოელებს დაანახა, რომ ვარსკვლავებთან თამაში ჯერ ადრეა, ჯერ ოფლის ღვრაა საჭირო, ეს წაგებები ალბათ ყიფიანსაც გააუადვილებს მუშაობას, თანაც უფრო დაუკონკრეტებს, რას მიაქციოს მეტი ყურადღება.

მოკლედ, ჯერ გადახტი და ჰოპლა მერე დაიძახეო, დინამოელებზეა ნათქვამი.

გამუკა კვარაცხელია
აშხაბადი — თბილისი

ჰოპლამდე ეროვნული ნაკრები ჯერ ლიოთეკაა შორია

რა დაემართა დინამოს?

ესპანეთი

XXV ტური

კომპოსტელა 2:0 სევილია
1:0 პენეა (41), 2:0 პენეა (72)

ატლეტიკო 2:0 ლოგრონიესი
1:0 ბიაჯინი (32), 2:0 სანტი (67)

ბეტისი 1:1 სელტა
1:0 ალფონსო (56), 1:1 მაზინიო (80)

ესპანიოლი 0:2 ბილბაო
0:1 ლარასაბალი (10), 0:2 ურხიახი (61)

ერაკლესი 1:3 დეპორტივო
1:0 ალფარო (19 პ), 1:1 მარტენსი (28), 1:2 რივალდო (45), 1:2 მარტენსი (75)

ოვიედო 0:0 ესტრემადურა

რასინგი 2:0 ვალიადოლიდი
1:0 ბეჩჩასტანიხი (70), 2:0 კორეა (75)

რაიო ვალეკანო 1:0 რეალი
1:0 კასტილიო (35)

ტენერიფე 2:1 ვალენსია
1:0 ფილიპე (62), 1:1 ფერეირა (72), 2:1 ფილიპე (75)

სარაგოსა 5:0 სპორტინგი
1:0 არაგონი (33), 2:0 მორიენტესი (40), 3:0 მორიენტესი (43), 4:0 მორიენტესი (49), 5:0 რადიმოვი (81)

სოსიედადი 2:0 ბარსელონა
1:0 დე პედრო (40 პ), 2:0 დე პედრო (87)

ოთხშაბათს, „რეალ“ იქვე, მადრიდის სხვა უბანში შეხვდა იქაურ „რაიო ვალეკანოს“ და როგორც ერთხმად აღნიშნავენ, სეზონის უარესი თამაში ჩაატარა. შედეგიც კანონზომიერი გამოდგა — „ვალეკანომ“ მოიგო და „სამეფო გუნდს“ ჩემპიონატში პირველი მარცხი აგება.

ხუთშაბათს „ბარსელონას“ სან სებასტიანში „რეალ სოსიედადი“ რომ დეგმარცხებინა, „რეალს“ სამი ქულითღა დაიტოვებდა წინ. მოგეხსენებათ, კატალონიის გუნდის მწვრთნელი ბობი რობსონი გულშემატკივრებმა აითვალწუნეს და მის გადადგომას ითხოვენ, თუმცა „ბარსას“ პრეზიდენტმა ხოსე ლუის ნუნიესმა ბასკეთში შეხვედრის წინ განაცხადა, დღევანდელი შედეგის მიუხედავად, რობსონს მაინც მხარს დაუჭერო. „სოსიედადთან“ რობსონის გუნდმა წააგო. წესით ნუნიესი სიტყვის ერთგული უნდა დარჩეს, მაგრამ კატალონიელების თამაშმა (და არა ანგარიშმა) შესაძლოა იგი გაატეხინოს, დაირხა ხმები.

პირველი გოლი „ბარსამ“ პენალტით გაუშვა: „სოსიედადის“ ფორვარდი რუმინელი კრაიოვიანუ (მას 1994 წელს თბილისის „დინამოს“ წინაალმდეგ კრაიოვას „უნივერსიტატიას“ შემადგენლობაში აქვს ნათამაშები) აბელარდომ თითქოს წააქცია. მსაჯმა პენალტი დანიშნა, რომელიც ხავი დე პედრომ გაიტანა. სტუმართა მეკარე, ვიტორ ბაია, რომელმაც წინა დღეს პორტუგალიის ნაკრების შემადგენლობაში ბერძნებს პენალტი აუღო, ამჯერად უიღბლო გამოდგა.

ბაია საბერძნეთთან ამხანაგური თამაშის შემდეგ სასწრაფოდ, დილით დაბრუნდა ესპანეთს, რათა „ბარსასთვის“ უნიშვნელოვანეს თამაშში წვლილი დაედო, მაგრამ ორი გოლის გაშვებით კიდევ კარგად გადარჩა. ამასობაში მისმა თანაგუნდელმა ბრაზილიელმა გამთამაშებელმა ჯოვანმ ამ შეხვედრაში ორი საუცხო შესაძლებლობა ვერ გამოიყენა და თან უზუსტობის სენი თანამემამულე რონალდოსაც გადასდო, რომელმაც „სოსიედადის“ მეკარე და მცველი მოატყუა, მაგრამ ააცილა.

ყველაფერი 87-ე წუთზე, დე პედროს მიერ მოწოდებული უცნაური კუთხურით დასრულდა, ბურთი საჯარიმოში დაეცა და ისე, რომ არავის შეხებია, რატომღაც ახლო ძელთან კარში გავიდა.

რეალი	25	16	8	1	51:21	56
ბარსელონა	25	15	5	5	63:32	50
ბეტისი	24	13	8	3	51:24	47
დეპორტივო	25	11	11	3	35:19	44
სოსიედადი	25	13	5	7	35:26	44
ატლეტიკო	24	12	7	5	46:29	40
ბილბაო	25	10	9	6	44:34	39
რასინგი	25	9	10	6	27:23	37
ვალიადოლ.	25	10	7	8	32:29	37
ტენერიფე	24	10	6	8	40:26	36
ვალენსია	25	9	6	10	33:32	33
სელტა	25	7	9	9	28:32	30
ოვიედო	25	7	8	10	31:33	29
კომპოსტელა	25	7	7	11	25:43	28
რაიო	24	7	6	11	25:34	27
ესპანიოლი	25	7	5	13	29:37	26
სპორტინგი	24	6	8	10	23:36	26
სარაგოსა	25	5	10	10	31:40	25
ლოგრონიესი	25	6	4	15	18:51	22
სევილია	24	6	3	15	20:36	21
ესტრემადურა	25	4	8	13	15:38	20
ერკულესი	25	5	4	16	22:49	19

ინგლისი

გადადებული მატჩები

არსენალი 1:2 მანჩესტერი
არსენალი: ლუკიჩი, დიქსონი, უინთერბერენი, ადამსი (პიუსი 46), ვეიერა, კიოუნი, პარლოუ, ბოულდი, რაიტი, მერხონი, ბერხამპი
მანჩესტერი: შმაიხელი, გ.ნევილი, ირვინი, პალიხტერი, კოული, ბექჰემი, გიგსი, პობორსკი (ბეთი 71), კინი, იორნენი, სოლხიაერი (მაკლეირი 86)
გოლი: კოული (18), სოლხიაერი (32), ბერხამპი (69)

იან რაიტმა და პიტერ შმაიხელმა იჩხუბეს. მათი შუღლი „ოლდ ტრეფორდზე“ გამართული შეხვედრიდან მოდის და ოთხშაბათს ფრთები გაშალა. საფინალო სასტვენის შემდეგ შმაიხელმა რაიტს შეულოცინა, იმან სასასუხო შემოუღერინა, გაიქაჩ-გამოიქაჩნენ და ბოლოს იმით დასრულდა, რომ რაიტი „არსენალის“ ფიზიოთერაპევტმა გარი ლევინმა და ერთმა პოლიციელმა იქაურობას გაარიდეს. საქმის აქამდე მოყვანა სწორედ ლონდონელის ბრალი იყო, რადგან მატჩის განმავლობაში „იუნაიტედის“ დანიელ გოლკიპერს იგი ორჯერ დაესხა თავს.

რაც შეეხება ძირითად საქმეს, თამაშს, იგი სტუმართა სასარგებლოდ დასრულდა. ალექს ფერგიუსონის გუნდმა კიდევ ერთი სერიოზული ნაბიჯი გადადგა მორიგი ინგლისური ტიტულისკენ.

ლონდონში საშინელი ამინდი იდგა. იქნებ ამანაც შეუწყო ხელი მანჩესტერელებს პირველი გოლის გატანაში, როდესაც გარი ნევილის წამოწყება წესითა და რიგით ტონი ადამსს იოლად უნდა ჩაეცხრო, მაგრამ ადამსმა რატომღაც ბურთს გზის გაგრძელების საშუალება მისცა და ენდი კოულამდე მიუშვა. კოულმა „ნიუკასლში“ თამაშის დრო გაიხსენა, გამოდევნებული ჯონ ლუკიჩის მონდომება არად ჩააგდო და მიუხედავად მახვილი კუთხისა, ანგარიში გახსნა. ეს „იუნაიტედის“ შემადგენლობაში 76-ე მატჩში კოულის 28-ე გოლი იყო.

„არსენალი“, ცხადია, გაქვითვას შეეცადა. რაიტმა აქა-იქ შექმნა კიდეც მწვავე მომენტი, მაგრამ მეორე ტაიმში ისევ სტუმრებმა გამოიჩინეს თავი. მათ კონტრშეტევაზე ვაიბრწყინეს: პობორსკიმ კოული მოძებნა, კოულმა გაქრილებული სოლსკიაერი, ამან კი დაამტკიცა, რომ მის ნიჭსა და უნარზე აჟიოტაჟი ტყუილად არ აუტეხიათ — 2:0.

ამის მერე ლონდონელები მართლა სახიფათონი გახდნენ, ჯერ ძელს გაარტყეს, შემდეგ კი მიზანი გაასწორეს: მერსონმა პარლოუს გადასცა, მან ახლო ძელთან ბერხამპს, რომლის ძლიერმა დარტყმამ მანჩესტერელთა ბადე ჰპოვა.

ასტონ ვილა 2:1 ქოვენთრი
ასტონ ვილა: ბოზნიჩი, ნელსონი, რაიტი, ეპიოგუ, სტონტონი, საუთგეიტი, თაუსენდი, ტეილორი, დრეიპერი, მილოშევიჩი, იორკი
ქოვენთრი: ორგიზოვიჩი, შოუ, ტელფერი, უილიამსი, ჰოლი, რიჩარდსონი (სტრაჩანი 81), ჯეხი (ნდლოკუ 71), ვილანი, ბრინი, მაკალისტერი, ჰაკბერი
გოლი: იორკი (43,75), სტონტონი (78 საკ. კარში)

აქაც საშინელი ქარიანი ამინდი იყო. „ვილამ“ ხელადვე გოლის გატანა გადაწყვიტა და ქოვენთრელთა კარს მიუხდა. თაუსენდმა დაახლოებით 30 მეტრიდან დაურტყა სტივ ოგრიზოვიჩს, მაგრამ ბურთმა (შესაძლოა, ამინდის გამოც) ხარიხასთან ახლოს ჩაიფრინა, კარში შევარდნა კი არ ინება. გამოხდა ხანი და მეტოქეები მიხვდნენ, რომ ასეთ პირობებში ბურთის გაგორება ჯობს, ვიდრე ზევით-ზევით გადაგდება. შემდეგ კი იორკმა გახსნა ანგარიში: ჯარიმიდან დრეიპერმა ჩაჰკიდა, ხოლო იორკმა ბურთს თავი გაჰკრა და კარში შეაგდო. მეორე გოლი დუაიტმა ეჰიოგუს პასით გაიტანა, შემდეგ კი სტივ სტონტონმა თავით ბურთის უკან გადაგდება მოინდომა, მაგრამ საკუთარ კარში რომ იხილა, მიხვდა რომ ამაოდ.

ისე კი, „ქოვენთრის“ „ვილა პარკზე“, ავერ უკვე 25 შეხვედრაა, არ მოუგია.

დერბი ქაუნთი 2:2 შეფილდი
დერბი: ჰოულტი, კერხლი, როუეტი, მაკგრათი, შტიმაცი, პაუელი, ვან დერ ლაანი (უორდი 46), ახანოვიჩი, ტროლოპი, დეილი, სტარიჯი
შეფილდი: პრუსმენი, აზერტონი, ნოლანი, ჰეშბრიჯი, ნიუსამი, უოქერი, კოლინზი, ნიკოლი (ბლინკერი 65), კარბონე (დონალდსონი 82), ბუთი, ჰამფრიზი (პირსტი 75)
გოლი: კოლინზი (9), სტარიჯი (34), შტიმაცი (71), პირსტი (76)

„უენსდეიმ“ ბოლო ხუთ მატჩში პირველი გოლი გაუშვა, სამაგიეროდ მატჩის დამთავრებამდე 15 წუთით ადრე მოედანზე დევიდ ჰირსტი შეუშვა, რომლის ბურთთან პირველივე შეხვედრა ანგარიშის საბოლოო გათანაბრებით დასრულდა. ახლა შეფილდელებს 19 თამაშში ერთადერთი მარცხი აქვთ ნაწვნევი.

ანგარიში უეინ კოლინზმა გახსნა. ეს მისი პირველი გოლი იყო „შეფილდის“ შემადგენლობაში. ამ გუნდში კი კოლინზი ზაფხულზე „ქრუდან“ გადავიდა 600 ათას ვირვანქა სტერლინგად. საპასუხო გოლი ალიოშა ასანოვიჩმა შექმნა. მან საჯარიმოს გარედან ბურთი შიგნით შეიტანა, სადაც კარის ხაზთან ათ მეტრში მგომი სტარიჯი თავის საკბილო მომენტს ელოდებოდა. 71-ე წუთზე ასანოვიჩმა ჯარიმიდან გადააწოდა პაუელს, რომელმაც მარცხენა ფრთიდან იგორ შტიმაცს დაუკიდა ბურთი. იგორი აღიმართა და თაურით სეზონის პირველი გოლი გაიტანა. მიუხედავად იმისა, რომ თამაში ძირითადად „უენსდეის“ ნახევარზე მიმდინარეობდა, ბურთმა საბოლოოდ ორივე გუნდის კარი ორ-ორჯერ მოინახულა. როგორც უკვე ვთქვით, შეცვლაზე შესულმა ჰირსტმა არც აცია, არც აცხელა და მარკ ჰემბრიჯის პასი პირველივე შეხებით გოლად გარდასახა.

ამინდი კი აქაც საშინელი იყო. მატჩის დაწყება არბიტრმა 15 წუთით დააყოვნა, ჭოჭმანობდა, რადგან მოედნის ზოგი მონაკვეთი წყლით იყო დაფარული.

ლივერპული 4:0 ლიდსი
ლივერპული: ჯეიმსი, კვარმე, რაიტი, მატეო, მაკმანერი, ბიორნებიუ, ბარნსი, რედნეპი, მაკმანამანი, ფაულერი (კენედი 78), კოლიმორი (ბერგერი 78)
ლიდსი: მარტინი, კელი, დორიგო, პალმერი, რადებე, უოლეხი (რაში 73), დინი, ბოუერი, ჰოლი, ჯეკსონი (ჰერტი 73), ბოლენაარი
გოლი: ფაულერი (21), რედნეპი (87)

ერთადერთი, რაც შეიძლება კაცმა „ლივერპულს“ უსაყვედუროს, ისაა, რომ ოთხზე მეტი გოლი ვერ გაიტანა. მასპინძლები მეტისმეტად იოლად გაუსწორდნენ სტუმართა. მათი თავდამსხმელები ლიდსელ მეურვეებს ბდღვერს აღენდნენ, განსაკუთრებით პირველ ნახევარში. „ლიდსის“ თავდასხმა კი არ არსებობდა, სულ ორი მომენტი ჰქონდა. ორივეჯერ უოლეხმა გამოიჩინა ფხა, ერთხელ პირველ ტაიმში, როდესაც ძელს გაარტყა ბურთი და ერთხელაც მეორეში, როდესაც ააცილა. 73-ე წუთზე სტუმართა შემადგენლობაში იან რაში გამოჩნდა, „ენფილდის“ გმირი, რომელსაც მაღლიერმა პუბლიკამ საოცარი შეხვედრა მოუწყო. ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, თითქოს ტრიბუნები სულაც არ განაწყენდებოდნენ, მათ კერპს, ახლა სხვა გუნდში მოთამაშეს, „ლივერპულის“ კარში გოლი რომ შეეგდო, მაგრამ აქამდე საქმე არ მისულა. „ლიდსის“ ქომაგები ნელნელა, ალბათ წვიმისა და ქარის გულშემატკივრობაზე გადავიდნენ. მათი გუნდი მასპინძლებს წინააღმდეგობას ვერ უწევდა, წვიმას კი მოედნის გაერანება და შეხვედრის ჩაშლა შეეძლო, მაგრამ არც ამ საქმიდან გამოვიდა რამე.

36-ე წუთზე ბარნსმა კოლიმორს გადააწოდა, კოლიმორმა მოლენაარს გამოავლო პირში ჩალა და ისე, 15 მეტრიდან დაბალი დარტყმით გაუტანა მარტინს. ერთი წუთის შემდეგ „ლივერპულის“ ფორვარდი კვლავ ზეიმობდა. ამჯერად ასისტენტმა მაკნამარამ გაუწია. მან მარჯვენა ფრთაზე რადებე ჩამოიშორა და შორეულ ძელთან ჩააწოდა, სადაც კოლიმორი იყო ჩასაფრებული — 2:0. კოლიმორის წყვილ გოლამდე 15 წუთით ადრე ფაულერმა გამოიჩინა თავი. საქმე ასე იყო: ბარნსმა კოლიმორი ჩართო საქმეში, მან მარცხნიდან შუაში ფაულერს დაუგდო, რობიმ კი ახლო მანძილიდან მიაღწია საწადელს.

შემდეგ დიდი დრო გამოხდა, მატჩის დამთავრებამდე სამი წუთი რჩებოდა, როცა ჯეიმი რედნეპმა საჯარიმოს გარედან ჯარიმა დაარტყა და მეოთხედ დაამხო ნაიჯელ მარტინის კარი.

მანჩესტერი	26	15	8	3	52:29	53
ლივერპული	26	15	7	4	46:20	52
არსენალი	27	13	9	5	45:25	48
ნიუკასლი	25	13	6	6	50:30	45
ასტონ ვილა	26	12	6	8	34:26	42
ჩელსი	24	11	8	5	38:33	41
უიმბლდონი	23	11	6	6	36:28	39
შეფილდი	25	8	12	5	28:29	36
ტოტენჰემი	26	9	5	11	27:33	32
ევერტონი	25	8	7	10	34:38	31
ლიდსი	26	8	6	12	21:31	30
დერბი	26	6	11	9	25:32	29
სანდერლენდი	25	7	8	10	23:32	29
ბლეკბერნი	24	6	9	9	26:25	27
ლესტერი	24	7	6	11	25:35	27
ქოვენთრი	26	6	9	11	24:35	27
ნოტინგემი	25	5	8	12	23:40	23
ვესტ ჰემი	25	5	7	13	20:33	22
საუთჰემპტონი	23	5	5	13	32:41	20
მიდლსბრო	24	5	7	12	30:44	19

«ჩელსი» ევროპას ეჩვევა

ამხანაგური მატჩი

ვილანი 2:0 ჩელსი
მილანი: როხი (პაგატო 46), რაციბერი (ვუკოტიჩი 46), კოსტაკურტა, ვერხოვოდი, მალდინი (კომაცი 75), ხავიჩევიჩი (ხიმონე 46), ბაჯო, დავიდი, ბლომკვისტი (კორენტი 78), დუგარი, ტასოტი (მაიოლო 87)
ჩელსი: გროდახი (კოლეგენი 46), ხენსერი, ლებეფი (მაიერი 46), კლარკი (იონსენი 46), ტ.ჰიუზი, დი მატეო (კლეიმენტი 46), უაიზი (მორისი 46), პეტრუსკუ (გულიტი 46), მინტო, მ.ჰიუზი (ნიკოლი 46), ძოლა (მაკკენი 46)
გოლი: დუგარი (9,63)

„ჩელსის“ ამხანაგური მატჩი „სან სიროზე“ ცხადია ლონდონელთათვის არასასურველი ანგარიშით დასრულდა, მაგრამ არაა გამორიცხული, რომ ამ თამაშში მიღებული გამოცდილება მათ გაისად გამოადგეთ.

რუუდ გულიტი წინდახედული კაცია, მომდევნო სეზონიდან ევროპულ სარბიელზე განავარდებას აპირებს და სწორედ კონტინენტურ ფეხბურთთან შესაჩვევად წაიყვანა თავისი მოთამაშეები სრუტეს გაღმა. ბევრმა მაინც გაუმართლებლად ჩაუთვალა ჰოლანდიელს ეს მოგზაურობა. ინგლისური ფეხბურთის ისედაც სიგიჟემდე გადატვირთულ კალენდარს კიდევ ერთი შეხვედრის, თან უცხოეთში. დამატება ნამდვილად აღარ სჭირდებოდა. „ბლუზმენ“ ისინი, ერთ მზრივ ქვეყნის თასის მერვეფინალური შეხვედრიან რამდენიმე დღის შემდეგ, თან თვით „ანფილტუნ იუნაიტედთან“ ოცამდე ორიოდ დღით ადრე. გზად აყრა და მილანს სტუმრობა მართლაც გასაკვირი იყო, მაგრამ...

გულიტმა თამაში უძლიერეს შემადგენლობას დააწყებინა. გამონაკლისი ედინ ნიუტონი და ჯანლუკა ვიალი იყვნენ, თუმცა ვიალის, მოგეხსენებათ, მწვრთნელი ბოლოხანს დიდად აღარ სწყალობს. სასტარტო შემადგენლობა არიგო საკისაც სოლიდური ჰყავდა.

მეორე ტაიმში ორივე მწვრთნელმა ასპარეზი ძირითადად ახალგაზრდებს დაუთმო. საკიმ ექსი ცვლილება იმყოფინა, გულიტმა კი რვა მოთამაშე გამოცვალა. ერთ-ერთი შემცვლელი თავადაც იყო. ეტყობა ჰოლანდიელს „სან სიროზე“ თამაში ძლიერ მონატრებია, ძველ ქომაგებს დაენახვა, მიესალმა, გაულაღდა.

ორივე გოლი მილანელმა ფრანგმა კრისტოფ დუგარიმ გაიტანა. პირველი ხელადვე, მე-9 წუთზე, ახლოდან შეაგდო მიხაელ რაციგერის პასით. მეორედ კი, 63-ზე მიოდრაგ ვუკოტიჩის ჩაკიდებულს ზუსტი თაური დაამატა.

1984 — ქრთამების წელი

1984 წელს, თასების მფლობელთა თასის გათამაშების ფინალისკენ გზის გასაკვლევად „პორტომ“ „აბერდინთან“ ნახევარფინალური მატჩის წინ რუმინელი არბიტრი მოქრთამა. ეს ამბავი არ გახმაურდებოდა, ამ შავი საქმის ერთ-ერთი თანამონაწილის აღსარება რომ არა. თითქმის ასეთივე სიტუაციაშია ახლა „ანდერლეხტი“. ოთხშაბათს მავანი ჟან ელსტი ბელგიის ერთ-ერთი სოლიდური გაზეთის რედაქციაში გამოცხადდა და განაცხადა — 1984 წელს, უეფას თასის გათამაშების საპასუხო ნახევარფინალური შეხვედრის წინ „ანდერლეხტსა“ და ინგლისის „ნოტინგემ ფორესტს“ შორის მატჩის არბიტრი (ესპანელი) მოვიხელთე და ჩვენების ფინალში გაყვანის საფასურად დიდი თანხა აღვუთქვი, გარკვეული რაოდენობის ფულიც დავუტოვე. „ყველაფერი კლუბის მაშინდელი თავმჯდომარის კონსტანტ ვან დენ სტოკის დავალებით გაეკეთე“ — დასძინა ელსტმა. ქრთამი რომ ჯოჯოხეთს ანათებს, ახალი ამბავი არ არის. და „ანდერლეხტმაც“ 3:0 იმარჯვა. პირველი მატჩი სტუმრად ბელგიელებმა 0:2 დათმეს, შინ კი სასურველი ანგარიშით მოიგეს. მსაჯმა ინგლისელებს გოლი არ ჩაუთვალა, ბოლოს კი საეჭვო თერთმეტმეტრიანიც დანიშნა. „ანდერლეხტის“ ფინალისტობით მარტო მსაჯმა როდი იხეირა. დავალების პირნათლად შესრულებისთვის ვან დენ სტოკმა ჟან ელსტი და ამ საქმეშივე გარეული რენე ვან ეიკენი ფულით დაასაჩუქრა და წლების მანძილზე საკმაო თანხასაც უხდიდა მათ. საერთო ჯამში ამ ორმა სტოკისგან მილიონნახევარი დოლარი მიიღო. წლები გავიდა, „ანდერლეხტის“ თავმჯდომარის სავარძელი კონსტანტ ვან დენ სტოკის ვაჟიშვილმა როჯერმა დაიკავა. რამდენიმე ხანში მან ელსტს და ეიკენს ფულის მიცემა შეუწყვიტა, რამაც, რაღა თქმა უნდა, გაიძვერების უკმაყოფილება გამოიწვია. თანხის გამოძალვა მათ შანტაჟით განიზრახეს და შეასრულეს კიდეც. ბუნებრივია, როჯერს ყელში ამოუვიდა ყველაფერი და შანტაჟისტებს პოლიციით დაემუქრა. ახალგაზრდა ვან დენ სტოკი პრინციპული გამოდგა, მეორე დღესვე აცნობა პოლიციას — მავანი პიროვნებები არ მასვენებენო. რომ გაიგეს, საქმეში სამართალდამცავი ორგანოები ჩაერთნენო, ელსტმა და ეიკენმა პოპულარული გაზეთის რედაქციას მიაშურეს და ყველაფერი წვრილად დაფქვეს, თან იხტიბარი არ გაიტეხეს — როჯერს თუ ჰგონია, იოლად მოგვიცილებს თავიდან, ძალიან სცდებაო. ელსტმა თქვა, მამამისთან სატელეფონო საუბრის ჩანაწერი მაქვს, მსაჯის მოქრთამვის თაობაზე რომ ვლაპარაკობდიო. ეიკენი კი სტოკეებს დაემუქრა — თუ თავის მართლებას შეეცდებით, მწარედ ინანებთო. მანვე დასძინა, ჩანაწერის გარდა, კონსტანტ ვან დენ სტოკის ამ საქმეში მონაწილეობის დამამტკიცებელი სხვა საბუთებიც გვაქვს ხელთო.

რასაკვირველია, საქმეში პოლიციაც ჩაერია. ორივე ეჭვმიტანილი — ელსტი და ეიკენი სასამართლოს სხდომამდე დროებით პატიმრობაში აიყვანეს. სამართალდამცავი ორგანოები კი გამოძიებას შეუდგნენ.

ბელგიის ფეხბურთის კავშირის პრეზიდენტმა მიშელ დუუმა საგანგებო პრესკონფერენცია მოიწვია. მან განაცხადა: „ჩვენ ყველა ღონეს ვხმარობთ, რათა საერთაშორისო ასპარეზობებზე ბელგიის სახელი არ შევარცხვინოთ და მსოფლიოს წინაშე ღირსეულად წარმოვჩნდეთ. სამწუხაროა, როცა ათწლეულების ნაშრომს შავ ლაქად აჩნდება თბთო-ოროლა გარეწრის ნამოქმედარი. ჯერ არაფერი ვიცი ამ საქმის შესახებ, ამიტომ ვერაფერს გეტყვით. ერთი კი შემიძლია ვთქვა — თუ გაზეთში გამოქვეყნებული ცნობა სიმართლეა, „ანდერლეხტს“ უდიდესი და მიუტევებელი შეცდომა დაუშვია. ყველა დამნაშავე უეჭველად დაისჯება.“

ბელგიის დედაქალაქში დატრიალებული ამბები, რა თქმა უნდა, უეფამაც შეიტყო. ბელგიის ფეხბურთის კავშირის სახელით მიშელ დუუმა უეფას გაუგზავნა ამ საქმესთან დაკავშირებული მასალები. უეფაშიც შეიქმნა კომისია, რომელსაც საქმის გამოძიება და დამნაშავეთა საკადრისად დასჯა დაევალა.

ბელგიის ფეხბურთის კავშირმა მიიღო უეფას პაკეტი, თუმცა, რას იწერება უეფა, ან რა მითითებებს აძლევს ამ ქვეყნის ფეხბურთის კავშირს, უცნობია.

ლაზა ბოდუაძე

ამერიკული ფირმა
ეთაგაზობთ
წონის დაკლების, მომატების, სტაბილიზაციის უნიკალურ პროგრამებს ჯანმრთელობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესებით.
ცნობებისთვის დარეკეთ: ☎ 371441

იყიდება
ირანული გაზის बალონების ფითილები და შუშები საბითუმო ფასებში.
ტელ: 95-22-56 საღამოს საათებში

თუ
* არ მუშაობს თქვენი * ტელეფონი * რადიო * დაგიგვიანეს პენსია
დაუყოვნებლივ დარეკეთ კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტროს სადისპეჩერო სამსახურში
☎ 92-00-66; 92-00-88

დანიელ პერ პედერსენი შესაძლოა მშობლიური „ოდენსედან“ პრემიერლიგის ექს-ჩემპიონ „ბლეკბერნში“ გადავიდეს. ტრანსფერის სავარაუდო თანხა ორნახევარი მილიონი გირვანქაა. „ბლეკბერნის“ წარმომადგენელმა ტონი პარკსმა განაცხადა, რომ თუ ყველაფერი რიგზე იქნა და რაიმე პრობლემა არ წარმოიქმნა, პედერსენის დებიუტს პრემიერლიგის უახლოეს ტურში ხელს არაფერი შეუშლის.

ზოტლანდიის „სელტიმა“ იტალიის „რომას“ მცველ ენრიკო ანონის გადაბირება განიზრახა. ორ დღეში აპეენინელი გლაზგოში ჩავა და „სელტიკის“ ხელმძღვანელებს კონტრაქტზე მოელაპარაკება. „რომამ“ ანონში 400 ათასი გირვანქა მოითხოვა, მაგრამ „სელტიკის“ თავმჯდომარე ფერგუს მაკკენს ეს თანხა ეძვირა. ანონის სეზონის ბოლოს უმთავრდება „რომასთან“ კონტრაქტი, და თუ იტალიელები საქმეს გაჯანჯღლებენ, ბოსმანის წესის თანახმად, ფეხბურთელში ვერაფერს აიღებენ.

ინგლისის სამი კლუბი იბრძვის მილანის „ინტერში“ მოთამაშე პოლ ინსის გადასაბირებლად. „ჩელსის“ და „არსე-

პოლ ინსს მილანში ურჩევნია

ნალს“ ბევრად აჯობა აქტიურობით „ლივერპულმა“, თუმცა, მეტი ვერაფერი გაახერხა. წითლების მწვრთნელ როი ევანსს ინსის ლივერპულში ხილვის დიდი სურვილი ჰქონია. მისი თქმით, პოლი მეტად გააძლიერებდა მის კლუბს, თუმცა ინსს, ვისაც „ინტერთან“ კიდევ წელიწადნახევრიანი კონტრაქტი აკავშირებს, სრულიადაც არ სურს მილანის მიტოვება. ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუში ფეხბურთელმა განაცხადა, რომ მილანში შშვენიერი ატმოსფეროა და იგი სულაც არ ფიქრობს სხვაგან წასვლას.

ბრაზილიელი ჟუნინიოს „რომაში“ გადასვლის თაობაზე გავრცელებული ხმები უარყო „მიდლსბროს“ მწვრთნელმა ბრაიან რობსონმა. ოთხშაბათს იტალიელებმა ფეხბურთელს სერია A-ში თამაშზე ჩამოუგდეს სიტყვა და ალბიონის პრესამაც მეორე დღესვე დაწერა — ჟუნინიო იტალიაში მიდისო. რობსონმა ამას ტყუილი უწოდა. „მას კიდევ ორი წელი აქვს „მიდლსბროში“ სათამაშო, ჩვენ ორივე თასის მოპოვებაც შეგვიძლია. ასე რომ, მისი გაშვება სრული უაზრობაა“ — განაცხადა რობსონმა.

ჰორტუგალიის 21 წლამდე ასაკის ნაკრების წევრმა ტიაგო პერეირამ განაცხადა, რომ კლუბში წარმოქმნილი პრობლემების გამო ტოვებს „მარიტიმუს“. პერეირას „მარიტიმუსთან“ 1998 წლის ბოლომდე აქვს კონტრაქტი, თუმცა, ფეხბურთელის თქმით, კლუბს მისთვის ორი თვე არ მიეცა გასამრჯელო და მასაც თამაშის ყოველგვარი სურვილი გაუქრა. პორტუგალიური პრესის ცნობით, პერეირა შესაძლოა დედაქალაქის „ბენფიკაში“ გადავიდეს.

შვედმა მწვრთნელმა სვენ-გორან ერიქსონმა, ვინაც ახლა „სამპდორიას“ თავკაცობს, განაცხადა, რომ მომავალი სეზონიდან, მიღწეული შედეგის მიუხედავად, დატოვებს კლუბს. დეკემბერში მან „ბლეკბერნთან“ კონტრაქტს მოაწერა ხელი და მომავალი სეზონიდან ინგლისში აპირებდა გადასვლას, მაგრამ სიტუაცია შეიცვალა — რომის „ლაციომ“ ერიქსონს გადაყენებული მწვრთნელის ზდენეკ ზემანის ადგილი შესთავაზა. როგორც ჩანს, დედაქალაქელთა წინადადებით შვედი დაინტერესდა, რაკი თავის საბოლოო გადაწყვეტილებას უახლოეს კვირაში განაცხადებს.

საბერძნეთში, ოთხშაბათს ამ ქვეყნის ნაკრებმა ამხანაგურ მატჩში უმასპინძლა პორტუგალიას. შეხვედრა ფრედ 0:0 დასრულდა, მაგრამ დასასრული შეიძლებოდა სხვაგვარი ყოფილიყო — მეორე ტაიმში ვიტორ ბაიამ ფრანცეკოსის თერთმეტმეტრიანი მოიგერია. ტერიტორიული უპირატესობა მასპინძლებს ჰქონდათ, თუმცა, მეორე ტაიმში პორტუგალიელებმა ორი საგოლე მომენტი გააცუდეს. სტუმართა მწვრთნელმა არტურ ჟორჟემ განაცხადა, რომ კმაყოფილია გუნდის თამაშით. ერთი თვის წინ პორტუგალიელები შინ 0:2 დამარცხდნენ ფრანგებთან.

ჰოლანდიის თასის გათამაშების მესამე წრის ერთი შეხვედრა ოთხშაბათს გაიმართა. „დეტინჰემმა“ შინ 0:2 წააგო „როდასთან“ და ასპარეზობას გამოეთიშა.

ნიბერიის ფეხბურთის ასოციაციამ ეროვნული გუნდის მთავარ მწვრთნელად დანიშნა ფრანგი ფილიპ ტროსიე, რომელიც მანამდე სპილოს ძვლის ნაპირის გუნდს წვრთნიდა. ტროსიეს თვიური გასამრჯელო 10 ათასი დოლარი იქნება.

გერმანიის თასის მერვედფინალის ცენტრალურ შეხვედრაში „კარლსრუემ“ 1:0 დაამარცხა „ბაიერნი“ და დასასამართა მიუნხენის კლუბის ოცნებები დუბლის გაკეთებაზე. ნაკრების ნახევარმცველმა, ტრავმის შემდეგ მომჯობინებულმა თომას ჰესლერმა პირველ ტაიმში მატჩის ერთადერთი გოლი შეაგდო. 62-ე წუთზე იგი შეცვალეს, თუმცა სტუმრებმა მატჩი მაინც ვერ გადაარჩინეს. თან 78-ე წუთზე „ბაიერნის“ ნახევარმცველი მანფრედ ნერლინგერი გააძევეს.

ინგლისის ნაკრებისა და „მანჩესტერ იუნაიტედის“ ვეტერანი სტენ პირსონი 78 წლის გარდაიცვალა. მან კლუბში 1935-54 წლებში ჩატარებულ 345 მატჩში 149 გოლი გაიტანა და 1948 წელს ინგლისის თასის ფინალში გადამწყვეტი გოლიც შეაგდო, რომელმაც „იუნაიტედს“ პირველი ჯილდო მოაპოვებინა მეტ ბასბის მწვრთნელობის ხანაში. ინგლისის ნაკრებში კი პირსონის დებიუტი 1952 წელს შედგა და იგი ბრწყინვალე იყო. იმ მატჩში მან სქოთებს ორი გოლი შეუგდო. ის შეხვედრა ინგლისელებმა მოიგეს 2:1.

სამხრეთ ამერიკაში დაიწყო ლიბერტადორესის თასის გათამაშების ჯგუფური ტურნირი. ოთხშაბათს პირველი ტური გაიმართა. A ჯგუფი: სერო პორტენო (ურუგვაი) — გურანი (პარაგვაი) 0:1, ორიენტე პეტროლერო (ბოლივია) — ბოლივარი (ბოლივია) 0:4. B ჯგუფი: ემელეკი (ეკვადორი) — ნასიონალი (ეკვადორი) 2:1, რასინგი (არგენტინა) — ველეტ სარსფილდი (არგენტინა) 1:2. C ჯგუფი: მილეროსი (ვენესუელა) — მინერვენი (ვენესუელა) 0:0, უნივერსიდად კატოლიკა (ჩილე) — კოლო-კოლო (ჩილე) 2:2. D ჯგუფი: კრუზეირო (ბრაზილია) — გრემიო (ბრაზილია) 1:2, სპორტინგი (პერუ) — ალიანსა (პერუ) 0:0. ჯგუფებში საუკეთესო სამი გუნდი შემდეგ წრეში გადის, თასის მფლობელი „რივერ-პლეიტი“ კი პირდაპირ ორის დაშვებული მეორე წრეში. შემდეგი მატჩები 25-26 თებერვალს გაიმართება. 25-ში ითამაშებენ: A ჯგუფში ორიენტე პეტროლერი — სერო პორტენო. C ჯგუფში უნივერსიდად კატოლიკა — მინეროსი, D ჯგუფში ალიანსა — კრუზეირო. 26 თებერვალს კი B ჯგუფის გუნდები — „ნასიონალი“ და „ველეტ სარსფილდი“ დაუპირისპირდებიან ერთმანეთს.

საფრანგეთის ჩემპიონატში მოთამაშე „ლანსს“ პრობლემები შეექმნა მინდორზეც და მის გარეთაც. 1991 წლიდან გუნდი ყოველთვის 10 უძლიერესს შორის იყო, ახლა კი, ჩემპიონატის ერთ-ერთი მაჩანჩალაა. მომავალ ტურში „ლანსი“ სტუმრად ეთამაშება „ლიონს“, მაგრამ გულშემატკივრებს წარმატების არც თუ დიდი იმედი აქვთ, რადგან სხვადასხვა მიზეზების გამო ვერ ითამაშებენ კლუბის ძირითადი მოთამაშეები: მცველი დეუ დისკვალიფიცირებულია, მაგნე და სიკორა დაშავებულები არიან, ბოკო და ფოე კამერუნში გაემგზავრნენ ნაკრებში სათამაშოდ, ფორვარდების — ვეირელსისა და დალეს თამაში კი საეჭვოა. მოთამაშეთა გარდა კლუბს გულშემატკივრების პრობლემაც აწუხებს. „ლანსის“ ფანების აღვირახსნილობამ ბოლო მატჩებში ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა. ეს არც ფედერაციას გამოეპარა და კლუბი სოლიდური თანხით დააჯარიმა.

ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელმა მარიო ზაგალომ უარყო ხმები იმის შესახებ, თითქოს 26 თებერვალს პოლონელებთან ამხანაგურად სათამაშოდ ნაკრებში რომარიოს დაუძახა. ბრაზილიური გაზეთების ცნობით, ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ტეიშეირამ ზაგალოს დაუძალა რომარიოს აყვანა, რათა ნაკრების სპონსორები გაეხარებინა. ზაგალომ უარყო ტეიშეირას ასეთი საქციელი და ისიც დასძინა, რომარიოს ნაკრებში გამოძახება საიდან მოიტანეთო.

ჰოლანდიის ფეხბურთის ასოციაციამ გააფრთხილა „ფეიენოორდი“. საქმე ისაა, რომ კლუბის გულშემატკივრები მეტად უწესოდ იქცევიან და თუ კვლავ ასე გაგრძელდა, ფედერაცია მათ კლუბის საგარეო მატჩებზე თანხლებას აუკრძალავს, „ფეიენოორდს“ კი ქულებს დაუქვითავს. როტერდამის კლუბი წელს უკვე შვიდჯერ დაჯარიმეს გულშემატკივართა გამო. მომავალ ტურში „ფეიენოორდი“ სტუმრად „აიაქსს“ ეთამაშება, მათი პირველი წრის შეხვედრა კი მასპინძელ გულშემატკივართა აღვირახსნილობით გამოირჩეოდა. როტერდამიდან მიმავალ „აიაქსის“ ავტობუსს გამძვინვარებულმა ფანებმა შუშები ჩაულეწეს და ქვები დაუშინეს.

ბულგარეთის ჩემპიონატის განახლება ქვეყანაში გამძვინვარებულმა ეკონომიკურმა კრიზისმა საეჭვო გახადა. ნაკლებად შეძლებული კლუბები ფინანსურ გასაჭირში ჩავარდნენ. მეორე წრისთვის განაცხადი ყველა კლუბმა შეიტანა, მაგრამ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარის თქმით, ზოგიერთმა კლუბმა დახმარება ფედერაციას სთხოვა.

რუსეთის ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებით, ქვეყნის პირველობის პირველ ორ ტურს ნეიტრალური მოედნები უმასპინძლებენ, რადგან ჩრდილოეთში მოედნები მოყინულა. რუსეთის ფეხბურთის ლიგის ვიცე-პრეზიდენტი ლეონიდ ლიპოვის თქმით, ეს გადაწყვეტილება ლიგამ და ფედერაციამ დეკემბერში გამართულ საგანგებო სხდომაზე მიიღეს.

ჰოლანდიის მეორე დივიზიონის კლუბმა „ეინდჰოვენმა“ (არ აგერით ცნობილ პსგ-ში) საკუთარ მოთამაშეს დისკვალიფიკაცია მისცა. ერთ-ერთ ბოლო შეხვედრაში „ჰელმონდ სპორტის“ წინააღმდეგ გააძევეს დეკერსი. მან კი ტრუსი გაიძრო და ტრიბუნაზე ისროლა. კლუბმა არც აცია, არც აცხელა და მატჩის შემდეგ დამწყები სტრიპტიზიორი გუნდიდან მოკვეთა.

აშშ-ში გამართულ ამხანაგურ შეხვედრაში მექსიკამ ფრედ 1:1 ითამაშა გვატემალასთან. მექსიკელებს დაშავებული მეკარე ხორხე კამპოსი აკლდათ. ანგარიში მათ გახსნეს 21-ე წუთზე ერმოსილიოს თაურის შემდეგ, თუმცა ტაიმის ბოლოს გვატემალელმა ხუან კარლოს პლატამ გააყალბა.

ავსტრალიის ნაკრების წევრი ტონი ვიდმარი, რომელიც ამჟამად „ბრედაში“ თამაშობს, მომავალი სეზონიდან შოტლანდიის ზედიზედ რვაგზის ჩემპიონ „ცელტიკს“ ერთვის. აღსანიშნავია, რომ ავსტრალიელმა მცველმა განაცხადა, რომ მისთვის რამდენიმე ჰოლანდიური და გერმანული კლუბი იყო დაინტერესებული, მაგრამ მან „რეინჯერსი“ არჩია.

კვიპროსში დასრულდა ოთხთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მასპინძლთა გარდა პოლონეთის, ლიტვისა და ლატვიის ნაკრებები მონაწილეობდნენ. საქართველოს ნაკრების მეტოქემ მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში ბოლო ტურში 3:2 დაამარცხა ლატვია, მასპინძლებმა კი 1:0 მოუგეს ლიტვას. საბოლოოდ, ტურნირში პოლონეთმა იმარჯვა, მეორე ადგილზე მასპინძლები გავიდნენ, მესამე და მეოთხე კი ლატვიამ და ლიტვამ დაიკავეს.

რუსეთის ნაკრების მეკარე სერგეი ოვჩინნიკოვი მოსკოვის „ლოკომოტივიდან“ ლისაბონის „ბენფიკაში“ გადავიდა. იგი 31 იანვლისიდან „ბენფიკას“ საკუთრება გახდა. ოვჩინნიკოვმა პორტუგალიურ კლუბთან ოთხწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. „ბენფიკას“ 37 წლის ბელგიელი მეკარე მიშელ პრიუდომი თამაშისთვის თავის დანებებას აპირებს.

ბრაზილიაში, რიოს შტატის ჩემპიონატის შეხვედრაში „ფლუმინენსესა“ და „ამერიკას“ შორის ატყდა ჩხუბი, რომლის შემდეგაც სტუმართა მწვრთნელი, ორი მოთამაშე და მასპინძელთა ერთი ფეხბურთელი მოედნიდან გააძევეს. „ამერიკას“ მწვრთნელი „ფლუმინენსეს“ მცველ პაულო რობერტოს წაეკინკლაკა, მწვრთნელს ორი მოთამაშეც გამოექომაგა და მასპინძელს გაარტყეს. მერე ჩხუბში მაყურებლებიც ჩაერივნენ და აყალმაყალმა კარგა ხანს გასტანა. შარშანდელი ნოემბრის შემდეგ ეს პირველი მატჩი იყო „ფლუმინენსეს“ სტადიონზე. მაშინ მასპინძელთა გულშემატკივრებმა ისე სცემეს „პარანანსეს“ მეკარე, რომ საცოდავი ორი თვე საწოლს იყო მიჯაჭვული.

ინგლისის „ქოვენთრის“ მცველმა დვეიდ ბასტმა კარიერა ფეხბურთელმა დაასრულა. ერთ-ერთ ბოლო მატჩში იგი ისე დაშავდა, რომ გადაწყვიტა საბოლოოდ გამომშვიდობებოდა ფეხბურთს. აღსანიშნავია, რომ ბასტი ფეხის მეთხუთმეტე ოპერაციას გაიკეთებს.

ნიბერიელ ფორვარდ დანიელ ამოკაშის კლუბმა 8 300 დოლარის გადახდა დააკისრა. ბოლო ტურის წინ, „ბეშიქთაში“ — „ფენერბაჰჩეს“ შეხვედრამდე, ნიგერიელი ავადყოფი დედის სა-



დანიელ ამოკაში

ნახავად გაეშურა სამშობლოში, ჩამოსვლა კი შეაგვიანდა. ამოკაშის დროზე ჩამოსაყვანად „ბეშიქთაშმა“ თვითმფრინავი დაიქირავა, რაც სტამბოლის კლუბს 17 ათასი დოლარი დაუჯდა. განაწყენებულმა ამოკაშმა განაცხადა, რომ სრულიადაც არ აპირებს ჯარიმის გადახდას. მას კლუბის მწვრთნელ რასიმ კარისთან შეხვედრა და მასთან მოლაპარაკება აქვს განზრახული.

დანიის ნაკრებისა და „მანჩესტერ იუნაიტედის“ მეკარე პიტერ შმაიხელი შესაძლოა სასამართლოს წინაშე წარდგეს. მას ბრალი ედება „არსენალის“ შავკანიანი ფორვარდის იან რაიტის რასისტული გამონათქვამებით შეურაცხყოფაში. აღსანიშნავია, რომ პირველ წრეში, ამათი გუნდების შეხვედრისას, მათ შორის უკვე მოხდა რასისტული დაპირისპირება. რაიტმა ბოლო ტურში „იუნაიტედთან“ დამარცხების შემდეგ მომზდარი ინგლისის ფეხბურთის ასოციაციას აცნობა, ასოციაციამ კი თავის მხრივ პოლიცია შეუწუხა.

ინგლისის ერთ-ერთი ქვედა ლიგის კლუბმა ნოტინგემის „ეშფილდმა“ პრეზიდენტად ყოფილი ბოროტმოქმედი რ[illegible]კრეი აირჩია. 60-იან წლებში კრეი მკვლელობისთვის იხდიდა სასჯელს ნოტინგემის ციხეში. „მადლობელი ვარ კლუბის არჩევით. ლონდონის მერე ნოტინგემი ჩემი საყვარელი ქალაქია“ — განაცხადა ახალგამომცხვარმა პრეზიდენტმა. ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ კი კითხვით მიმართა „ეშფილდს“. ეს ბოროტმოქმედი კლუბის პრეზიდენტად რამ აგარჩევინათო.

რუსეთის ფეხბურთის ფედერაციამ ამ უარყო ხმები, თითქოს რუსეთი 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობა სურდა. ახლახან ყოფილ აგენტმა ფრანგულ გაზეთ „ეკიპს“ განუცხადა, ჩემი აზრით, მსოფლიოს პირველობის სამასპინძლოდ რუსებიც იბრძოლებენო. რუსთა ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივნის ვლადისლავ როდიონოვის თქმით, მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობაზე ფედერაციას არც კი უფიქრია, რომ აღარაფერი ვთქვათ მის სერიოზულ განხილვაზეო.

ჰოლანდიის ნაკრები ოთხშაბათს პარიზში ფრანგებს ეთამაშება. ჰიდინკის არყოფნაში ეროვნულ გუნდს ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის მწვრთნელთა კავშირის თავმჯდომარე, 53 წლის ან რეი უსლემძღვანელებს. ბოლო მატჩი, მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი, ჰოლანდიამ დეკემბერში გამართა და ბელგიას 3:0 მოუგო. მაშინდელთან შედარებით გუნდში მხოლოდ ერთი ცვლილებაა: მილანის „ინტერში“ მოთამაშე აარონ ვინტერს „ფეიენოორდის“ ნახევარმცველი ჟან-პოლ ვან გასტელი შეცვლის. რებმა ნაკრებში ამ მოთამაშეებს უხმო: ვან დერ სარი (აიაქსი), დე გუი (ფეიენოორდი). მცველები: ფრენკ დე ბური (აიაქსი), რაიციგერი (მილანი), ნუმანი, სტამპი, ვალქსი (ყველა პსვ), ვერკლი (ვიტესი). ნახევარმცველები: რონალდ დე ბური (აიაქსი), ვან ბრონკჰორსტი, ვან გასტელი (ორივე — ფეიენოორდი), კოკუ, ონკი (ორივე პსვ), ზეედორფი (რეალი). თავდამსხმელები: კლუივერტი, ოვერმარსი (ორივე აიაქსი), ბერხკამპი (არსენალი), ვან ჰუიდონკი (სელტიკი). საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელმა ემე უაკემ კი ოთხშაბათს სათამაშოდ გამოუძახა „არსენალის“ იმედისმომცემ ფეხბურთელ პატრიკ ვიეირას. ფრანგთა ნაკრებში ვერ ითამაშებს იური ჯორკაეფი, რომლის „ინტერსაც“ იმავე საღამოს იტალიის თასის ნახევარფინალის საპასუხო შეხვედრა ელის „ნაპოლისთან“. ჯორკაეფი ბოლო წლების განმავლობაში პირველად გამოაკლდება ნაკრებს. ფრანგთა პირველი მეკარე ლამა კი სულ ბოლო რში მიღებული ტრავმის შემდეგ კვლავ დაუბრუნდა ნაკრებს. ნიდერლანდებთან სათამაშოდ მიწვეულნი არიან მეკარეები: ბარტეზი (მონაკო), ლამა (პსჟ). მცველები: ბლანი (ბარსელონა), დესაი (მილანი), კანდელა (რომა), ლიზარაზუ (ატლეტიკო), ბლინდო (მონაკო), ტურამი (პარმა). ნახევარმცველები: დეშამპი (იუვენტუსი), კარემბუ, ლეილი (ორივე სამპდორია), ნეოტი (პსჟ), ვეიირა (არსენალი), ზიდანი (იუვენტუსი). თავდამსხმელები: ბა (ბორდო), დუგარი (მილანი), ლოკო (პსჟ), პირსი (მეცი).

მაღალეფექტური ფხვნილი

SHALLEM

რომელიც დამზადებულია მხოლოდ საკვები პროდუქტებით, მკურნალობს სტომატიტს, ანგინას და ღრძილების ანთებას.

მკურნალობის ვადა 2-3 დღეა.

ფხვნილი ლიცენზირებულია.

დარეკეთ 37-06-53

იკითხეთ თამრიკო

ბავშვთა კვება



Gerber

ახალი სიცოცხლის

უმშვენიერესი დასაწყისი

ამერიკული და მსოფლიო ბაზრის აღიარებული ლიდერის გერბერის პატარა ქილებში

თქვენი შვილების გოლიათური ჯანმრთელობაა

ᲔᲕᲠᲝᲚᲘᲒᲐ

მე-16 ტური. 20 თებერვალი

E ჯგუფი

სტეფანელი (იტალია) — ალბა (გერმანია) 80:91, ცსკა (რუსეთი) — შარლერუა (ბელგია) 80:66, მაკაბი (ისრაელი) — ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი) 82:78

სტეფანელი	16	11	5	27
ალბა	16	10	6	26
ოლიმპიაკოსი	16	9	7	25
მაკაბი	16	9	7	25
ცსკა	16	8	8	24
შარლერუა	16	1	15	17

F ჯგუფი

ულქერი (თურქეთი) — ტიმსისტემი (იტალია) 73:78, ესტუდიანტესი (ესპანეთი) — პანიონიოსი (საბერძნეთი) 92:70, ციბონა (ხორვატია) — ლიმოჟი (საფრანგეთი) 72:66

ტიმსისტემი	16	12	4	28
ციბონა	16	10	6	26
ესტუდიანტესი	16	9	7	25
ლიმოჟი	16	8	8	24
ულქერი	16	5	11	21
პანიონიოსი	16	4	12	20

G ჯგუფი

პანათინაიკოსი (საბერძნეთი) — ელან ბერნე (საფრანგეთი) 75:71, ოლიმპია (სლოვენია) — დინამო (რუსეთი) 80:72, ვილერბანი (საფრანგეთი) — კახა სან ფერნანდო (ესპანეთი) 83:81

პანათინაიკოსი	16	13	3	29
ვილერბანი	16	12	4	28
ოლიმპია	16	10	6	26
კსფ	16	7	9	23
ელან ბერნე	16	6	10	22
დინამო	16	3	13	19

H ჯგუფი

ეფეს პილსენი (თურქეთი) — ბარსელონა (ესპანეთი) 96:70, პარტიზანი (იუგოსლავია) — ბაიერი (გერმანია) 89:76, კინდერი (იტალია) — კროაცია (ხორვატია) 73:57

ეფესი	16	12	4	28
პარტიზანი	16	9	7	25
ბარსელონა	16	8	8	24
კინდერი	16	7	9	23
კროაცია	16	7	9	23
ბაიერი	16	2	14	18

მერვედფინალი

6, 11 და თუ საჭიროა, 13 მარტი (ორ მოგებამდე)

სტეფანელი (იტალია) — კინდერი (იტალია), ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი) — ბარსელონა (ესპანეთი), პარტიზანი (იუგოსლავია) — ალბა (გერმანია), ეფეს პილსენი (თურქეთი) — მაკაბი (ისრაელი), ტიმსისტემი (იტალია) — ოლიმპია (სლოვენია), ლიმოჟი (საფრანგეთი) — კახა სან ფერნანდო (ესპანეთი), ვილერბანი (საფრანგეთი) — ციბონა (ხორვატია), პანათინაიკოსი (საბერძნეთი) — ესტუდიანტესი (ესპანეთი)

დამატებითი, მესამე მატჩი (საჭიროების შემთხვევაში) გაიმართება პირველად დასახელებული გუნდების მოედანზე.

ᲔᲕᲠᲝᲠᲘᲡ ᲗᲐᲡᲘ

მერვედფინალი

საპასუხო მატჩები. 18 თებერვალი

(ფრჩხილებში პირველი მატჩის შედეგია)

ფენერბაჰჩე (თურქეთი) — *ჰაპოელი (იერუსალიმი, ისრაელი)* 69:57 (78:91), ჟალგირისი (ლიტვა) — *პარი სენ ჟერმენი (საფრანგეთი)* 76:77 (ძირითადი დრო 69:67, პირველი მატჩი 58:60), *რეალი (ესპანეთი)* — ასკ ბროცენი (ლატვია) 84:88 (98:83), *პორტუ (პორტუგალია)* — ნობილესი (პოლონეთი) 95:65 (81:91), *ირაკლისი (საბერძნეთი)* — ტდკ (ესპანეთი) 61:58 (79:74), აპოლონი (საბერძნეთი) — *ფთთ (თურქეთი)* 67:66 (73:89), ავტოდორი (რუსეთი) — *შლეონსკი (პოლონეთი)* 95:104 (94:90), *რიელო (იტალია)* — ბუდიველნიკი (უკრაინა) 90:73 (90:80)

დაბრილი შრიფტით გამოყოფილი გუნდები გავიდნენ მეოთხედფინალში.

ᲛᲔᲝᲗᲮᲔᲓᲤᲘᲜᲐᲚᲘ

4 და 11 მარტი

ჰაპოელი (ისრაელი) — ირაკლისი (საბერძნეთი), ფთთ (თურქეთი) — პარი სენ ჟერმენი (საფრანგეთი), რეალი (ესპანეთი) — შლეონსკი (პოლონეთი), რიელო (იტალია) — პორტუ (პორტუგალია)

ᲙᲝᲠᲐᲩᲘᲡ ᲗᲐᲡᲘ

მეოთხედფინალი

საპასუხო მატჩები. 19 თებერვალი

(ფრჩხილებში პირველი მატჩის შედეგია)

მაზოვჯანკა (პოლონეთი) — უნიკახა (ესპანეთი) 84:57 (60:74), პერისტერი (საბერძნეთი) — *არისი (საბერძნეთი)* 71:64 (65:75), კასერესი (ესპანეთი) — *თოფაში (თურქეთი)* 75:81 (59:64), *ბენეტონი (იტალია)* — პანკა დი რომა (იტალია) 91:62 (63:73)

ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲤᲘᲜᲐᲚᲘ

5 და 11 მარტი

მაზოვჯანკა (პოლონეთი) — თოფაში (თურქეთი), არისი (საბერძნეთი) — ბენეტონი (იტალია)

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

19 თებერვალი

ატლანტა — ინდიანა 100:87, შარლოტი — ფინიქსი 123:115, დეტროიტი — ვაშინგტონი 100:85, ორლანდო — პორტლენდი 95:84, ტორონტო — სან ანტონიო 125:92, მინესოტა — ვანკუვერი 84:73, გოლდენ სტეიტი — ბოსტონი 112:101, კლივლენდი — ლეიკერზი 103:84

20 თებერვალი

ინდიანა — დენვერი 92:68, მაიამი — ნიუ ჯერსი 92:87, ფილადელფია — კლიპერზი 101:84, მილუოკი — დალასი 101:99, ჰიუსტონი — ტორონტო 107:97, იუტა — ბოსტონი 122:105, ნიუ იორკი — საკრამენტო 109:87

ატლანტიკის დივიზიონი

მაიამი	41	12	77,4
ნიუ იორკი	39	14	73,1
ორლანდო	25	25	50,0
ვაშინგტონი	24	28	46,2
ნიუ ჯერსი	15	37	28,8
ფილადელფია	13	39	25,0
ბოსტონი	11	42	20,8

ცენტრალური დივიზიონი

ჩიკაგო	46	6	88,5
დეტროიტი	38	13	74,5
ატლანტა	34	17	66,7
შარლოტი	32	21	60,4
კლივლენდი	29	22	56,9
ინდიანა	25	27	48,1
მილუოკი	25	27	48,1
ტორონტო	18	35	34,0

შუა-დასავლეთის დივიზიონი

იუტა	38	14	73,1
ჰიუსტონი	35	18	66,0
მინესოტა	26	27	49,1
დალასი	17	33	34,0
დენვერი	17	37	31,5
სან ანტონიო	12	39	23,5
ვანკუვერი	11	45	19,6

წყნარი ოკეანის დივიზიონი

ლეიკერზი	37	15	71,2
სიეტლი	36	15	70,6
პორტლენდი	28	25	52,8
საკრამენტო	24	30	44,4
კლიპერზი	21	28	42,9
გოლდენ სტეიტი	20	30	40,0
ფინიქსი	19	35	35,2

ᲕᲘᲜᲪ ᲛᲝᲐᲡᲬᲠᲝ...

ხუთშაბათს, 20 თებერვალს, აღმოსავლეთის სანაპიროს დროით საღამოს 6 საათზე ამოიწურა ნბა-ში მოთამაშეთა გუნდიდან გუნდში გადასვლის ვადა. ამ-ერიდან ყველა გუნდი სეზონს იმ კალათბურთელებით დამთავრებს, რომელიც ამჟამად ჰყავს განაცხადში. სანამ ეს ვადა ამოიწურებოდა, რამდენიმე გუნდმა მოასწრო და გაცვლები გააკეთა.

ᲓᲔᲜᲕᲔᲠᲘ — ᲨᲐᲠᲚᲝᲢᲘ

შარლოტიდან დენვერში: ჯორჯ ზიდეკი, ენტონი გოლდვაიერი

დენვერიდან შარლოტში: რიკი პირსი

ᲒᲝᲚ. ᲡᲢᲔᲘᲢᲘ — ᲨᲐᲠᲚᲝᲢᲘ

შარლოტიდან გოლდენ სტეიტში: სკოტ ბარელი

გოლდენ სტეიტიდან შარლოტში: დონალ როიალი

ᲜᲘᲣ ᲯᲔᲠᲡᲘ — ᲚᲔᲘᲙᲔᲠᲖᲘ

ნიუ ჯერსიდან ლეიკერზში: ჯორჯ მაკლაუდი

ლეიკერზიდან ნიუ ჯერსიში: ჯო კლაინი

ᲛᲘᲚᲣᲝᲙᲘ — ᲢᲝᲠᲝᲜᲢᲝ

მილუოკიდან ტორონტოში: შონ რესპერტი

ტორონტოდან მილუოკში: აისი ერლი

ᲘᲜᲓᲘᲐᲜᲐ — ᲓᲔᲜᲕᲔᲠᲘ

დენვერიდან ინდიანაში: მარკ ჯექსონი, ლა სეელ თომფსონი

ინდიანიდან დენვერში: ვინსენტ ესკიუედი ჯონსონი

ᲡᲠᲝᲚᲐ

ᲔᲕᲠᲝᲠᲐᲖᲔᲪ ᲒᲐᲕᲘᲡᲕᲠᲘᲗ

წინა „სარბიელში“ გაუწყებდით, საქართველოს ტყვიის მსროლელი ქალების — ნინო სალუქვაძის, ნინო უჩაძისა და ნინო ღაღაშვილის ვარშავაში, ევროპის ჩემპიონატზე გამგზავრება საეჭვოა უფულობის გამოო.

გუშინ ფედერაციის გენერალურმა მდივანმა გივი ბოსტოღანაშვილმა გვაცნობა, რომ სპორტის დეპარტამენტმა გამონახა გასამგზავრებლად საჭირო თანხა და ქართული დელეგაცია მისი ხელმძღვანელობით დღეს გაფრინდება პოლონეთში. ჩემპიონატი 24 თებერვალს დაიწყება და 3 მარტს დასრულდება.

ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲘ

ᲗᲝᲠᲛᲔᲢᲜᲘ ᲛᲐᲥᲡᲘᲛᲣᲛᲘᲗ

ჭადრაკის სასახლეში 20 წლამდე მოჭადრაკეთა საქართველოს ჩემპიონატზე გათამაშდა ორი ტური.

გოგონებში ქულათა მაქსიმუმი ხუთ მოჭადრაკეს აქვს: რუსუდან გოლეთიანს, სოფიო გვეტაძეს, ინგა ჭარხალაშვილს, ნათია აფხაიძეს და ლილე ცალუღელაშვილს.

ჭაბუკებში ორიდან 2 ქულით შვიდნი ლიდერობენ: გიორგი ბახტაძე, დავით შენგელია, მიხეილ მჭედლიშვილი, ალექსანდრე მაკარაშვილი, მიხეილ ჯამბაგიძე, ალექსანდრე ედიშერაშვილი და მერაბ გაგუნაშვილი.

ᲠᲝᲒᲑᲣᲠᲗᲘ

ᲙᲝᲠᲢᲔᲑᲖᲔ ᲪᲮᲔᲚᲐ

გრძელდება საქართველოს პირველობა სხვადასხვა ასაკში. 16 წლამდე ჭაბუკებში ფინალურ ოთხეულში მოხვდნენ ირაკლი უშანგიშვილი (დაამარცხა კოპილაშვილი 6:3, 6:4), სანდრო ოთარაშვილი (რევაზიშვილი 4:6, 6:3, 6:3), პრომეთე შევარდნაძე (აბულაძე 6:4, 6:4) და ლადო ჩიხლაძე (შეყილაძე 6:1, 6:0).

გუშინ საუკეთესო ოთხეულმა პირველი ტური ითამაშა. უშანგიშვილმა მოუგო ოთარაშვილს 6:3, 6:1. ჩიხლაძემ კი შევარდნაძეს 6:1, 6:3.

14 წლამდე გოგონებში უკვე ორი ტური ჩატარდა. პირველ ტურში ნინო ესებუამ ნინო მეტრეველს მოუგო 6:4, 6:1, თამუნა ზედგენიძემ — ანა ჩარუას 7:6, 6:3. მეორე ტურში ესებუამ ჩარუა დაამარცხა 6:3, 6:7, 6:1, ზედგენიძემ მეტრეველი 6:2, 6:4. ორი ტურის შემდეგ ესებუას და ზედგენიძეს 2-2 ქულა აქვთ. ბოლო ტურში ისინი ხვდებიან ერთმანეთს და გამარჯვებული საქართველოს ზამთრის ჩემპიონის ტიტულს მოიპოვებს.

ამავე ასაკის ჭაბუკებში ორი ქულით ლიდერობს ანდრო თოლორაია. თითო ქულა აქვთ ოთარ ენუქიძეს და კოკა ბურჭულაძეს. ბოლო შეხვედრაში ანდროს ერთი სეტის მოგებაც ჰყოფნის პირველობის მოსაპოვებლად.

ᲡᲠᲣᲚᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲗᲐ ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲓ

საქართველოს და საბერძნეთის კალათბურთელთა ეროვნული გუნდების 26 თებერვლის მატჩზე აკრედიტაციის მისაღებად განაცხადი წარმოადგინეთ საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციაში (რუსთაველის 42) 24 თებერვალს 12-დან 15 საათამდე. აკრედიტაციები გაიცემა 25 თებერვალს 14-დან 16 საათამდე.

ძველი სშვები გაუქმებულია.

* * *

ნაგანოს ზამთრის XVIII ოლიმპიურ თამაშებზე აკრედიტაციის მსურველებმა მიმართეთ საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს (დავით აღმაშენებლის 65. ტელ: 95-30-79) ან ჩვენი ქვეყნის სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციას (რუსთაველის 42. ტელ: 99-08-22) 1997 წლის პირველ მარტამდე.

ეოკი კისრულობს აკრედიტაციისა და ვიზების გაფორმებას, ხოლო ნაგანოში მგზავრობისა და ყველა საფოფაცხოვრებო ხარჯები უნდა გაიღოს თავად ჟურნალისტმა, ან მისმა მიმვლინებელმა რედაქციამ.

ᲰᲝᲙᲔᲘ

მშრალზე მყოფ გრეცკის ხელს ნიუ ჯერზის მეკარე ბროდო უშლის

ᲠᲝᲓᲘᲡ ᲒᲐᲕᲐ ᲛᲔ-900?

19 თებერვალი. ნიუ ჯერზი — რეინჯერზი 1:1, ფილადელფია — ჰართფორდი 2:2, დეტროიტი — კალგარი 4:0, ედმონტონი — ტორონტო 6:5.

20 თებერვალი. ტამპა — ფილადელფია 5:2, ფლორიდა — ნიუ ჯერზი 2:2, ჩიკაგო — ბოსტონი 5:3, სენტ ლუისი — ოტავა 1:1, სან ხოსე — ვანკუვერი 1:6, ლოს ანჯელესი — ანაჰაიმი 3:1

შარშანდელი ჩავარდნის, ფლეი-ოფში ვერგასვლის შემდეგ, 1995 წლის სტენლის თასის მფლობელმა ნიუ ჯერზიმ წლეულს კვლავ ჩვეულ, საიმედო დაცვაზე დაყრდნობილ სტილს მიმართა. ამან გაამართლა — „ეშმაკები“ ძალზე საშიში არიან, მათი გოლკიპერი ბროდოც (2,01 გაშვება ერთ თამაშში) ჩინებულ ფორმაშია. მორიგ ორ მატჩში ნიუ ჯერზიმ თითო-თითო ქულა აიღო და თავის ისტორიაში ახალი რეკორდი — 13 წაუგებელი მატჩი (6 მოგება, 7 ფრე) ჩაიწერა. რაც შეეხება ბროდოს, მას უკვე 14 შეხვედრა არ წაუგია. თავიდან ნიუ ჯერზი რეინჯერზს შეხვდა და მეტოქის მრისხანე თავდაცვას ხელფეხი შეუკრა. მხოლოდ გრეივზ-მესიეს კარგი კომბინაციის შემდეგ დააღწიეს თავი სტუმრებმა მარცხს, გრეცკიმ კი კვლავ უგოლოდ დატოვა მოედანი (ზედიზედ 21 მატჩში). ვითარებას ისიც ამძიმებს, რომ უეინს წელს არცერთი შაიბა არ შეუგდია (ბოლოს 1996 წლის 30 დეკემბერს გამოირჩა). ისე, ამჟამად მის პირად ანგარიშზე 899 გოლია და მაყურებელი საიუბილეო შაიბას კარგა ხანია ელის.

შემდეგ ნიუ ჯერზიმ თავის უშუალო კონკურენტ და თამაშის ასეთივე სტილის მიმდევარ ფლორიდასაც არ დაუდო ტოლი. თუმცა, თავიდან 1:2 აგებდა, მაგრამ გუნდი გადაარჩინა იშვიათად გამტანმა მცველმა დანიეკომ, მისმა თანაკლუბელმა რეომმა კი ლიგაში პირველი შაიბა შეაგდო. ამით ფლორიდამ შეწყვიტა 3-მატჩიანი მარცხიანი სერია.

ორი მატჩი გამართა ფილადელფიამაც. კლუბს მრისხანე მეტოქეები არ ჰყავდა, გამოჯანმრთელებული ლინდროსიც დაუბრუნდა, მაგრამ სამი ქულა მაინც დაჰკარგა. უნდა ითქვას, რომ პირველ მატჩში ჰართფორდთან „მფრინავებს“ ორივე გოლი ყოფილმა თანაკლუბელმა დაინინმა შეუგდო. ტამპასთან კი ფილადელფიას არანაირი შანსი არ ჰქონდა, ხოლო მასპინძლებმა, უდაოდ, თავისი საუკეთესო მატჩი ჩაატარეს სეზონში.

დეტროიტმა შეაჩერა მეტად გათამამებული კალგარი, რომელმაც მანამდე 6 მატჩში 11 ქულა დააგროვა. „ფრთების“ შედეგიანობამ წლეულს ოდნავ იკლო, სამაგიეროდ, მეტ სიფხიზლეს იჩენს და უფრო სოლიდურად გამოიყურება დაცვა. ამიტომ გასაკვირი არ უნდა იყოს, დეტროიტი გაშვებული შაიბებით მესამე რომ არის ლიგაში. გოლკიპერმა ოზგუდმა თავისი მეხუთე მშრალი მატჩი ჩაატარა, „ფრთების“ კაპიტანმა აიზერმანმა კი ბოლო 4 თამაშში 2 საგოლე პასი გააკეთა და მხოლოდ ერთით ჩამორჩება მეორე ადგილზე მყოფ ლემიეს (შესაბამისად 52 და 53). პირველი ისევ გრეცკია — 61.

როგორც ჩანს, იღბალმა საბოლოოდ აქცია ზურგი ბოსტონელ „დათვებს“. 2 თებერვლის შემდეგ მათ ერთხელაც არ მოუგიათ (1 ფრე და 7 წაგება) და უკვე 7 ქულით ჩამორჩებიან ბოლოსწინა ადგილზე მყოფ ჰართფორდს. ბოსტონს არც ლიდერის — ოუთსის ჩინებული თამაში შველის. განთქმულმა მეპასემ ჩიკაგოში ერთი პასი გააკეთა და მისმა შედეგიანმა სერიამ 20 მატჩს მიაღწია — 24 (7+17) ქულა. ეს საუკეთესო შედეგია სეზონში. საინტერესოა, რომ დონატოს (21) შაიბამდე (სწორედ მას მიაწოდა ოუთსმა) სტუმრები 0:3 აგებდნენ, შემდეგ დიდი ძალისხმევით მინიმუმამდე შეამცირეს სხვაობა, მაგრამ ბოლო წუთებზე სატერის მოძრაობა მაინც გამოეპარათ.

წყნარი ოკეანის დივიზიონში არასტაბილურმა ვანკუვერმა, რომლის აქილევსის ქუსლიც მასზე გაცილებით სუსტ ეუნდებთან წაგებაა, ამჯერად იყოჩაღა და იოლად გაუმკლავდა სან ხოსეს. გამორჩა ვანკუვერის ლიდერი მოგილნი, რომელმაც 3 (2+1) ქულა მიითვალა და თანამემამულეთა შორის საუკეთესო ბომბარდირია — 58 (26+32) ქულა. რუსის პარტნიორმა ჟელინამ კი ბოლო 6 მატჩში 7 შაიბა და 3 შედეგიანი პასი გაახერხა.

ფლეი-ოფში გასვლის კიდევ ერთმა პრეტენდენტმა ანაჰაიმმა მეტად საჭირო 2 ქულა დაკარგა. სხვა მატჩებისგან განსხვავებით, სელიანე-კარიას სუპერდუეტმა მხოლოდ ერთი პასი-იკმარა.

მიღწევებზეც ვთქვათ. ვანკუვერელმა რიდლიმ 750-ე ქულა დააგროვა, პიტსბურგელ მულენს კი 1 შაიბაღა აკლია, აშშ-ში დაბადებულთა შორის პირველი მოთამაშე რომ გახდეს, ვინაც 500 შაიბიანი ზღვარი გადალახა.

ბოლოს, ერთი ფაქტიც: მას შემდეგ, რაც მონრეალელმა კოივუმ და კოლორადელმა საკიკმა ტრავმები მოიშუშეს, შეიძლება ითქვას, რომ ლიგის ყველა უძლიერესი ჰოკეისტი მწყობრშია. ელიტა მხოლოდ სერიოზულად დაშავებულ ბუფალოელ ლაფონტენს მოსაკლისებს.

ᲡᲐᲛᲒᲔᲚ ᲚᲐᲠᲘᲝᲜᲘᲐᲜᲘ

ევროპელი ბომბარდირები: იაგრი (ჩეხეთი, პიტსბურგი) 87 (45+42), სელიანე (ფინეთი, ანაჰაიმი) 76 (34+42), სუნდინი (შვედეთი, ტორონტო) 73 (32+41), პალფი (აილენდერზი) 60 (32+28), ბონდრა (ორივე სლოვაკეთი) 59 (36+23), მოგილნი (რუსეთი, ვანკუვერი) 58 (26+32), ნედვედი (ჩეხეთი, პიტსბურგი) 54 (26+28), იაშინი (ოტავა) 54 (28+26), ბურე (ორივე რუსეთი, ვანკუვერი) 53 (23+30), ალფრედსონი (ოტავა) 52 (21+31), ფორსბერგი (ორივე შვედეთი, კოლორადო) 52 (12-40).

ჩრდილო აღმოსავლეთი						
ბუფალო	59	30	10	19	170:149	70
პიტსბურგი	58	31	5	22	213:186	67
მონრეალი	61	22	11	28	190:215	55
ოტავა	59	20	13	26	165:171	53
ჰართფორდი	58	22	8	28	163:188	52
ბოსტონი	59	20	7	32	167:209	47
ცენტრი						
დალასი	60	34	4	22	179:150	72
დეტროიტი	58	28	11	19	184:138	67
სენტ ლუისი	61	28	7	26	183:186	63
ფინიქსი	59	27	4	28	169:180	58
ჩიკაგო	60	24	8	28	159:158	56
ტორონტო	60	22	2	36	175:215	46
ატლანტიკა						
ფილადელფია	59	33	9	17	192:148	75
ნიუ ჯერზი	58	29	12	17	155:136	70
ფლორიდა	60	28	14	18	167:139	70
რეინჯერზი	61	28	9	24	201:167	65
ვაშინგტონი	58	23	6	29	151:166	52
ტამპა	57	21	7	29	158:179	49
აილენდერზი	58	19	10	29	156:171	48
წყნარი ოკეანე						
კოლორადო	58	36	8	14	198:135	80
ედმონტონი	60	29	6	25	189:174	64
ვანკუვერი	58	27	2	29	191:198	56
კალგარი	60	24	7	29	160:174	55
ანაჰაიმი	59	23	6	30	167:180	52
სან ხოსე	59	21	6	32	152:198	48
ლოს ანჯელესი	61	20	8	33	159:206	48

განუმეორებელი რაფაელი



რაფაელ ჩიმიშკიანი

დაიბადა 1929 წლის 23 მარტს თბილისში. სპორტის დამსახურებული ოსტატი ძალოსნობაში. დაამთავრა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი. არის ჰელსინკის (1952 წ) ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი. მსოფლიოს ორგზის (1954–55) და ევროპის ხუთგზის (1950, 54–57) ჩემპიონი. არის მესამე მსოფლიო ფესტივალის ჩემპიონი; ორჯერ იყო მსოფლიო ჩემპიონატის (1950, 53) და ერთხელ ევროპის ჩემპიონატის (1953) პრიზიორი. დამყარებული აქვს 14 მსოფლიო რეკორდი; არის საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი...



შარშან ოლიმპიურმა ჩემპიონმა, ძალოსანმა რაფაელ ჩიმიშკიანმა ძველი მეგობარი, ასევე ოლიმპიური ჩემპიონი, მოჭიდავე გივი კარტოზია საავადმყოფოში მოინახულა. ბევრი ისაუბრეს, ბევრიც გაიხსენეს. გამომშვიდობებისას ჩიმიშკიანმა მეგობარს მალე გამოჯანმრთელება უსურვა. მერე მის გვერდით დადგა, მხარი მხარს მჭიდროდ მიაბჯინა, მკლავით მკლავს მიაწვა და უთხრა: „ჩემი ძალა შენ, ჩემი ძალა შენ!“

ამაზე ორივეს გაეღიმა და ერთმანეთს გადაეხვივნენ...

მაშინაც ასე იყო, ჰელსინკში, 1952 წლის 25 იულისის ღამეს.

— იმ ღამეს აბა რა დამავიწყებს? — იხსენებს რაფაელ ჩიმიშკიანი. — ის ღამე ჩემთვის უბედნიერესი იყო — ოლიმპიური ჩემპიონი გავხდი. მაშინ „მესუჰალეს“ დარბაზში ჩემს გასამხნევებლად გივი კარტოზია და ვახტანგ ბალავაძე მოვიდნენ, მაგრამ მედლებისთვის ბრძოლა უსაშველოდ გაგრძელდა. უკვე ძალიან ვვიან იყო. „მესუჰალედან“ ოლიმპიურ სოფლამდე, სადაც ჩვენ ვცხოვრობდით, ძალიან შორს იყო და ბოლო ავტობუსი უკვე იქით გადიოდა. ამიტომ კარტოზია ჩემთან მოვიდა, მხარი მხარზე მომაბჯინა და თავისი ლონიერი მარჯვენით მკლავზე მომაწვა სიტყვებით: „ჩემი ძალა შენ, ჩემი ძალა შენ!“ მერე კარტოზიაცა და ბალავაძეც იმ ბოლო ავტობუსს შეახტნენ, მე კი დავრჩი ჩემი მეტოქეებისა და ცივი ლითონის პირისპირ, მაგრამ კარტოზიამ ხომ თავისი ძალაც „გადმომინერგა“ და მეც მხნედ ჩავები ბრძოლაში. აჭიმვაში საუკეთესო შედეგი აჩვენა უილკესმა. ეს ტრინიდადელი ზანგი ლონდონის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი იყო და მას ჰელსინკშიაც ერთერთ ფავორიტად მიიჩნევდნენ, მაგრამ მე არც მისი ოლიმპიური გამოცდილება მაშინებდა, არც აჭიმვაში დაწინაურება, რადგან წინ იყო ატაცი, აკერა და ბრძოლა ახლაღა იწყებოდა. საბოლოოდ უილკესმა ბრინჯაო მოიპოვა, მთავარი ბრძოლა ჩემსა და რუს ნიკოლოზ საქსონოვს შორის გაიმართა. საბოლოოდ საქსონოვმა ვერცხლი მოიპოვა, მე კი ჩემპიონი გავხდი. იქ სამჭიდში ოლიმპიური და მსოფლიო რეკორდი დავამყარე — 337,5 კგ. რეკორდების გასაფორმებლად დარჩა ფორმალური მხარე — შტანგისა და ჩემი აწონვა. მერე კი იყო დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი და ამასობაში განთიადიც მოგვეპარა. ღამენათევი და ბრძოლაგადატანილი დაღლას ვეღარც ვგრძნობდი, ისე ვიყავი გამარჯვებით გახარებული. ოლიმპიურ სოფელს უთენია რომ მივუახლოვდით, იქ ჩემი გამარჯვების შესახებ არავინ არაფერი იცოდა. ავტობუსის შოფერს ვთხოვე, იქ სულ პიპინით შესულიყო.

მანქანის გაუთავებელმა სიგნალმა მთელი სოფელი გააღვიძა. ვივი კარტოზია გამოვარდა და რომ დამინახა, იყვირა: „რა ქენი, რაფიკჯან?!“ გაბადრული რომ დამინახა, გამოქანდა, მტაცა ხელი, ამიყვანა და სირბილით გამაქანა. მე შენ გეტყვი და გაუჭირდებოდა.

— ეს ოლიმპიური მედალი ჩემთვის უძვირფასესია, ყველაზე გამორჩეულია, თქვენ კი... — „ძველი“ ცოდვა გამიხსენა რაფაელ ჩიმიშკიანმა...

ამ კაცს თავისი სპორტული კარიერის მანძილზე ოქროს მედალი ფიცარნაგზე გამართულ უმწვავეს ბრძოლებში მსოფლიოს უღონიერეს ადამიანებთან აეკრობაში იშვიათად, ძალზე იშვიათად დაუკარგავს. მე კი ავდექი, ხელის ერთი მოსმით, უფრო სწორად, მოუსმელად სწორედ ის ყველაზე საამაყო მედალი დავუკარგე. მაშინ ჩიმიშკიანზე გამოქვეყნებულ ერთ საგაზეთო პუბლიკაციას მისივე დოსიე დაკურთე, იმ დამსახურებათა ნუსხაში კი თურმე უნებლიედ გამომრჩენია მთავარი — ოლიმპიური ჩემპიონობა.

— კაცი მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ვარ, — მეუბნება ჩიმიშკიანი. — აი, დოსიეში ეს რომ გამოგრჩენოდა, ჯანდაბას. ბოლოს და ბოლოს ყველა მსოფლიო ჩემპიონი ექს-ჩემპიონი ხდება, ოლიმპიური ჩემპიონი კი მუდამ ჩემპიონია, იმ ქვეყნად წასულიც კი. ანტიკურ ხანაში შინ დაბრუნებულ ოლიმპიურ ჩემპიონებს ტრიუმფალურ შეხვედრებს უწყობდნენ, ძეგლებს უდგამდნენ, თქვენ კი...

ოლიმპიურ ჩემპიონს კიდევ ერთხელ, ვინ იცის მერამდენედ, ბოდიშს ვუხდი და ვეკითხები — თქვენ როგორი შეხვედრა მოგიწყვეს, თქვენ, ჰელსინკის ოლიმპიურ ჩემპიონებს?

— დიდებული, ყველაზე უკეთ სამტრედიაში შეხვედრა მახსენდება. ჰელსინკიდან მოსკოვში ჩასულებმა საქართველოსკენ მატარებლით გამოვგრძელეთ გზა. სამტრედიაში უამრავი ხალხი დაგვხვდა. ჩემპიონებიც და სხვა პრიზიორებიც ხვევნა-კოცნით დაგვახვრჩვეს. იქვე, რკინიგზის ბაქანზე ერთმანეთზე მაგიდები მიედგათ და თვალუწვდენელი სუფრა გაეშალათ. იმ მატარებელში უამრავი რუსი იყო, საქართველოში დასასვენებლად მომავალი. სამტრედიაში დამხვდურებმა ისინიც და საერთოდ ყველანი ვაგონებიდან გამოყარეს და სუფრაზე მიიპატიჟეს. მთელი ორი საათი ვიქეიფეთ. მთელი ორი საათი მატარებელს არ უშვებდნენ. როცა ვაგონებში ავედით, იმ რუსებს გზის გაგრძელება აღარ უნდოდათ, ზღაპრის გაგრძელებას გვთხოვდნენ. ახლა თბილისში რა ამბავი იყო...

— მოდით, ახლა ის უამბეთ მკითხველს, როგორ მოხვდით ფიცარნაგზე.

— გაბაშვილზე გვედო ბინა. მეზობლად მსახიობი ვანო ტურიაშვილი ცხოვრობდა. თავისი ხელით შტანგა გაეკეთებინა. ახლა ის შტანგა რომ მახსენდება, მეცინება — რკინის ღერო ჰქონდა, აქეთ-იქით კი მავთულებით დაეკრებინა თუჯის მილები, ჩვენ რომ „ვაკრავერებს“ ვუწოდებთ. ჰოდა, ეს კაცი ყოველდღე იმ შტანგით ვარჯიშობდა. მაშინ 1942-43 წელი იყო, გახურებული მეორე მსოფლიო ომი. მე 13 თუ 14 წლისა, დიდი „შუსტრი“ ვინმე ვიყავი — კარგადაც ვჭიდაობდი, ფეხბურთის თამაშიც ძალიან მიყვარდა და... ვანო ტურიაშვილის შტანგასთან შეჭიდებაზე ენატრობდი, ის კი ბავშვებს გვაფრთხილებდა, ხელი არ ახლოთ, თქვენი აწევა ჯერ არ შეიძლებაო, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს, შინ რომ არ იყო, იმ შტანგას შევპარე და სწრაფად აწევ-დაწევა დავიწყე, ამ დროს მისი პატრონიც თავს წამომადგა. იმ ყოფაში რომ დამინახა, გაკვირვებისგან გაშეშდა და პირი ღია დარჩა. იმისი გაკვირვება ჩემთვის ქვეშეცნეულად სტიმული იყო. მერე იყო და ჩვენს მეზობლად ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი სარაჯიშვილი ცხოვრობდა. საწუხაროდ, სახელს ვერ ვიხსენებ. დილაობით აივანზე გამოდიოდა და ცივი წყლით ტანს იბანდა. ისეთი აღნაგობა ჰქონდა, ბრინჯაოსაგან ჩამოსხმულ ანტიკურ ქანდაკებას ჰგავდა. მეც იმის ტანს შევნატროდი. ჰოდა, 1946 წლის 3 თუ 5 სექტემბერს, ბესიკის ქუჩაზე, „დინამოს“ დარბაზში მიველი პავლე გუმაშიანთან და მას მერე ვარჯიში აღარ გამიცდენია.

— მე კი სხვაგვარი ისტორია ვიცოდი და თქვენი ნაამბობი რომ დავწერო, კიდევ ერთხელ ხომ არ მომიწევს ბოდიშის მოხდა?

— მართალი ხართ, სხვა ისტორიაც არსებობს, თუმცა არც ესაა მოგონილი, რაც გიამბეთ. ის ისტორია კი ასეთია: თბილისში, მტკვრის პირას, ახლანდელ რესტორან „არაგვის“ ადგილზე მდებარე ტერიტორიას „კუპალნას“ ეძახდნენ. იქვე აუზიც იყო, ბორანიც და ჩვენი საყვარელი ადგილი გახლდათ. მაშინ ფრონტიდან დაბრუნდა ერთი ძალოსანი, ვალენტინ იანკოვიჩი. დაჭრილი იყო და ნაჭრილობები ეტყობოდა, მაგრამ დიდებული აღნაგობისა იყო. იცოდა, რომ კარგად ვჭიდაობდი და წამაქეზა, მოდი, ვიჭიდაოთ და თუ მომერევი, ძალოსნობის სექციაზე მიგიყვანო. მართლაც ვიჭიდავეთ და ვაჯობე, თან წყალში გადავაგდე და გადავყევი კიდეც. მე ისე კარგად ვერ ვცურავდი, როგორც იანკოვიჩი. ჰოდა, იმანაც ჯავრი იყარა და ბლომად წყალი მაყლაპა, მაგრამ სიტყვა არ გაუტეხია — მეორე დღეს დათქმულზე ერთი საათით ადრე მივედი დარბაზში. მერე, მწვრთნელი რომ მოვიდა, ამხედ-დამხედა და, რამდენი წლისა ხარო. 17-ისა-მეთქი. არ დამიჯერა, ჯანმრთელობის ცნობა მომიტანეო. ბოლოს გამსინჯა და შტანგა ამაწევინა. 40 კილოგრამი ავჭიმე. მას მერე შტანგა ხელიდან აღარ გამიშვია. ახლაც ყოველდღიურად ვეწევი. რომ არ ავწიო, გული გამიჩერდება.

იმავე წელს, პირველად რომ შედგა ფეხი ფიცარნაგზე, სულ რაღაც სამიოდე თვის შემდეგ, დეკემბერში, რაფაელ ჩიმიშკიანი გორკში გამართულ საკავშირო ჩემპიონატზე წაიყვანეს. მაშინ სპორტსმენთა დაყოფა ასაკობრივ ჯგუფებად არ იყო. ამიტომ დიდი და პატარა ყველა ერთად გამოდიოდა. დიდები კი, ვიყვარდეთ, საკმაოდ იყვნენ ამ სიტყვის პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობითაც.

— აი, ეს არის ნიკოლაი შატოვი, პირველი საბჭოთა ძალოსანი, ვინც ოფიციალურ მსოფლიო რეკორდს გადააჭარბა; ეს გრიგორი ნოვაკია, საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონი და მსოფლიოს ჩემპიონი; ეს კი იაკოვ კუცენკო არის, ესეც საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონი და ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი — ეუბნებოდნენ რაფაელ ჩიმიშკიანს, რომელიც გაფართოებული თვალებით შესცქეროდა ამ სახელოვან სპორტსმენებს, უფრო მქუხარე ტიტულები ჯერ კიდევ წინ რომ ჰქონდათ.

— იმათ რომ ვუყურებდი, სწორედ მაშინ ამოვიჭერი გულში დიდი მიზანი, რომ მეც მათსავით სახელოვანი ძალოსანი დავმდგარიყავი — იხსენებს ჩიმიშკიანი და ამ გზაზე პირველი ნაბიჯი მან სწორედ გორკში გადადგა, როცა მჩატე წონაში IX ადგილი დაიკავა. მაშინ იყო, ჩიმიშკიანს დიდი მომავალი რომ უწინასწარმეტყველეს, რაც მას ფრთები შეასხა. შეასხა და მომდევნო, 1947 წელს საქართველოს ჩემპიონი გახდა, თანაც სამივე მოძრაობაში რესპუბლიკური რეკორდები დაამყარა და მომავალი ასპარეზობებისთვის რომ ემზადებოდა, ბრმანაწლავი საოპერაციო გაუხდა, რამაც მთელი სეზონი გააცდენინა. 48-ის გაზაფხულზე კი კიევში გამართულ საკავშირო ჩემპიონატზე მეექვსე იყო, თანაც პირველად შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმატივი. ნახევარი წლის მერე კი, ლენინგრადში, ყველას გასაკვირად ჩიმიშკიანმა საკავშირო გუნდურ პირველობაზე ყველა მეტოქეს სძლია. ამას მოჰყვა ვორონეჟში გამართული ასპარეზობა, სადაც თბილისელი ძალოსანი უკვე პირად პირველობაში გახდა სსრ კავშირის ჩემპიონი (მჩატე წონაში).

იმ ზღაპრისა არ იყოს, სხვები თუ წლობით იზრდებოდნენ, ჩიმიშკიანი ყოველდღიურად იზრდებოდნენ და სულ უფრო და უფრო მეტ სიურპრიზებს სთავაზობდა მეტოქეებს. ასე მოხდა 1950 წელს პარიზშიც, სადაც ერთდროულად გაიმართა ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატი. მაშინ ჩიმიშკიანი სათადარიგოდ წაიყვანეს. იგი ალბათ იმთავითვე ძირითად შემადგენლობაშიც მოხვდებოდა, მაგრამ იმ ზამთარს საოპერაციო შეიჭრა, რადგან წინა ოპერაციისას სხეულში ტამპონი ჩაეტოვებინათ. ოპერაციის მერე სპორტსმენი, ბუნებრივია, ერთბაშ არ ვარჯიშობდა და წონაც საკმაოდ მოიმატა.

ასე იყო თუ ისე, როცა ნაკრები პარიზისკენ მიემგზავრებოდა, მჩატე წონაში ჩემპიონი ივან უდუგოვი ავად გახდა. ჩიმიშკიანს იგი უნდა შეეცვალა, მაგრამ რამდენიმე დღეში საჭირო იყო ჩვენს სპორტსმენს წონაში 7 კილოგრამი დაეკლო. ამისთვის კი უნდა ეშიმშილა კიდეც. ახლა წარმოიდგინეთ, კაცი რომ სიმშიმეებთან ჭიდილის წინ იშიმშილებს, 7 კილოგრამს დაიკლებს და დასუსტდება, მას ბრძოლის ჯანი როგორღა შერჩება? მაგრამ ჩიმიშკიანი რისი ჩიმიშკიანი იქნებოდა, თუ ერთსაც ვერ მოახერხებდა და მეორესაც. თბილისელი ძალოსანი შეჯიბრების წინ რომ აწონეს, ზუსტად 57 კილოგრამი აღმოჩნდა, მაგრამ უფრო საოცარი ის იყო, რომ ჩიმიშკიანი ევროპის ჩემპიონი გახდა, მსოფლიოზე კი მხოლოდ ირანელმა ნამდვილ აჯობა. თუმცა, რაღა ჯობნა იყო, როცა ორივემ ერთნაირი წონა-დაკლება მაგრამ ირანელ თბილისელზე 10 გრამით მსუბუქი აღმოჩნდა და...

მერე და მერე უფრო დიდი და ლამაზი საჩინო წარმატებები მოვიდა. სულ რამდენიმე წლის წინათ თუ სრულიად ჭაბუკი ჩიმიშკიანისთვის სხვა ძალოსნები იყენენ მისაბაძი და კერპი, მერე თავად გახდა მათი სწორი და აღმატებულიც.

ჰელსინკის ოლიმპიადაზე, სადაც სახელგანთქმულ მოჭიდავე დავით ციმაკურიძესთან და ტანმოვარჯიშე მედეა ჯუღელთან ერთად საქართველოს ათლეტთაგან პირველი ოლიმპიური ჩემპიონთაგანი გახდა, სასტუმროს ნომერში ერთად ცხოვრობდა სახელგანთქმულ საბჭოთა ძალოსან იგორ ნოვაკთან ერთად, ვისაც ვერ კიდევ ორი-სამი წლით ადრე შენატროდა და ვინც ფინეთის დედაქალაქში მეორე პრიზიორი გახდა.

* * *

ბავშვობაში, როცა ტელეეკრანზე საბჭოთა დღესასწაულებზე გამართულ აღლუმებზე ჩვენი სპორტსმენების კოლონას შევცქეროდი, მაღალ, მხრებგანიერ, წარმოსადეგ ათლეტთა შორის ჩემს ყურადღებას მუდამ იპყრობდა ერთი ტანმორჩილი, მაგრამ ჩაბსკენილი, ულვაშა სპორტსმენი, რომელიც ლამის მუხლებამდე მედლების ამბარში ჩამჯდარიყო. ის სპორტსმენი, რაღა თქმა უნდა, გახლდათ რაფაელ ჩიმიშკიანი, რომელიც სამიოდე დღის წინათ მოვინახულე და ლირსების ორდენით დაჯილდოება მივულოცე. სწორედ მაშინ ვკითხე ის, რაც ბავშვობიდან მაინტერესებდა — თქვენი მედლები თუ აგიწონიათ, ნეტა რამდენს იწონის-მეთქი.

მანამდე სულ — მოსაკლავი ხარ, მოსაკლავი ხარო — რომ მიძახა, ძლივს გამხიარულდა და შეიცხადა: ვა, ჟურნალისტებს ჩემთვის რაღა არ უკითხავთ, მაგრამ ასეთი კითხვა აქამდე არავის დაუსვამს და მედლების აწონვა მეც არ მომსვლია აზრადო. მერე, მიუხედავად იმისა, რომ სიცხიანი იყო, წამოხტა და ერთი მედალი გამომიტანა, 1956 წელს ჰელსინკში, მსოფლიო ჩემპიონობისთვის დამსახურებული. აბა, მარტო ეს ნახე, როგორ ფიქრობ, რა წონა ექნებაო. ის მედალი დიდრონი შოკოლადის ფილის ხელა იყო, წონით კი, ალბათ, 500-600 გრამი.

ეს მედალი ნამდვილი ოქროსი რომ — იყოს, რაღა მიჭირდაო. მერე მედლების მთელი ასხმა გამომიტანა. უშველებელ, წითელ ლენტზე აკიდოსავით აესხა მედლები, ოქროსფერი ჭარბობდა და ბრჭყვიალებდა. ის „აკიდო“ თავად მსუბუქად ეჭირა, მე კი ლამის მკლავი მომწყდა.

— წარმოიდგინეთ, ასე მედლებასხმული იმ აღლუმებზე ვაკის პარკიდან ლენინის მოედნამდე ჩამოვივლიდი ხოლმე — თავს „მაცოდებს“ ჩიმიშკიანი. მერე იმითაც მაკვირვებს, რომ მეუბნება, ჩემი მედლების კოლექცია ამით არ ამოიწურებაო და მეორე ოთახში გავყავარ სხვათა სანახავად. თუმცა არც სხვა ყოფილა სრული კოლექცია (ისევე, როგორც ამ წერილთან ერთად მოცემული ჩიმიშკიანის დოსიე), რადგან მედლების ნაწილი თავის ქალიშვილებს ჰქონიათ (ოთხი შვილი ჰყავს, ოთხივე ქალიშვილი, აქედან სამი ექიმი, ერთიც მუსიკოსი. ჰყავს ოთხი შვილიშვილი — ერთი გოგონა, სამი ვაჟი. ოთხი სიძიდან ორი ექიმია, ერთი ინჟინერი და ერთიც ეკონომისტი).

— კი მაგრამ, ლირსების ორდენი სადღაა? — ვეკითხები.

— პრეზიდენტის ბრძანებულება კი გამოქვეყნდა, მაგრამ ორდენი ჯერ არ მიმიღია. როცა გადმომცემენ, უმცროსი ქალიშვილის, ქრისტინასი გახდება, რადგან მას ჩემი მედლებიდან ყველაზე ცოტა შეხვდა.

* * *

რაფაელ ჩიმიშკიანი ყველას აოცებდა-მეთქი. ჩემთვის ყველაზე დიდი აღმოჩენა იყო იქ, მედლების კოლექციასთან ერთად თავმოყრილი პორტსიგარების კოლექცია. თავისთავად ამაში საოცარი არაფერია — კაცია და გუნება, რასაც უნდა, იმას მოაგროვებს, მაგრამ ჩიმიშკიანისთვის იმ პორტსიგარებს მხოლოდ საკოლექციო მნიშვნელობა არ ჰქონია. დიდხანს თურმე დიდი მწველი ყოფილა, მაშინაც კი, როცა სრულიად ახალგაზრდა იყო და ფიცარნაგზე რეკორდების კორიანტელს აყენებდა. წევისთვის ამ 13 წლის წინათ დაუნებებია თავი, „თაკის“ დროზე კი, როგორც თავად გვითხრა, თურმე იმდაც ეძალებოდა ჰაპიროსს, რომ — წონა დაეკლო. მაგრამ ჭკუა რომ მქონოდა, რა მომწევნებდაო.

ახლა იმას ვფიქრობ, მაშინ ორთქმავალივით რომ არ ებოლებინა, ვინ იცის, კიდევ რამდენ მსოფლიო რეკორდს დაამყარებდა.

ავთანდილ გურასაშვილი

სერ ჯონი ყველას იყიდის!

27. XI. 1993. თვიქნემი. ინგლისი — ზელანდია 15:9
ენდრიუ, როდბერი და დეგლენვილი თუიგამალას ეჭიდებიან

რაც რაგბი გაბროფესიულდა, ფულიანი ხალხი მიესია. ერთი მათგანია ბრიტანელი მილიონერი, სერ ჯონ ჰოლი. მას აქამდე „ნიუკასლ იუნაიტედის“ ფეხბურთის კლუბის პატრონად იცნობდნენ, ახლა კი ჩრდილოეთ ინგლისის იმავე ქალაქის რაგბის გუნდიც შეიფარა, ფეხბურთისას შეუამხანაგა და საბჭოურ უიდაზე ნიუკასლის სპორტული კლუბი ჩამოაყალიბა.

სერ ჯონს გეგმები ფულის შესაფერი აქვს. ფეხბურთში მწვრთნელად კევინ კიგანი ყავდა. ბომბარდირია ალან შირერი, რომლის ტრანსფერი დღესაც სარეკორდოა მსოფლიოს მასშტაბით.

რაგბის გუნდის მოძღვრად ჰოლმა მიიწვია ინგლისის ნაკრების ცოტა ხნის წინდელი 10 ნომერი რობ ენდრიუ. ამან II დივიზიონის კლუბი ლამისაა ბრიტანეთის ნაკრებად აქციოს და საშემოდგომოდაც ნაღდად გადაუვს I დივიზიონში, რომელსაც, ფეხბურთის პრემიერ-ლიგის დარად, ევროპაში მალე ბადალი არ ეყოლება.

ეგ კიდევ რაა: ენდრიუმ თვალი დაადგა 27 წლის ზღვისრეფელ ტანკს — ვაიგა თუიგამალას და გადაიბირა. მერე საიდან? — საიდან და 13-კაცა, XIX საუკუნიდანვე პროფესიული, ე. წ. ლიგის რაგბის ბუმბერაზ „ვიგანიდან“, ლივერპულის შემოგარენის კლუბი რომაა.

საუკუნის მანძილზე ლიგა სამოყვარულო რაგბს ურცხვად ატყავებდა — სისტემატურად ტაცებდა საუკეთესო მოთამაშეებს. რაგბი ორი წელი არცაა, რაც გაპროფესიულდა, მაგრამ ლიგას უკვე სრულად გადაუხადა სამაგიერო. ერთი, რომ ყველა გამოჩენილი „ძე ცდომილი“ დაიბრუნა. მეტიც, ლიგას თავად შეუყენა წყალი და მის წიაღშივე გამოზრდილი მობურთალების აქეთ გადმობირებას შეუდგა. ამათ, ეტყობა, ლაღი და მრავალფეროვანი რაგბი სწორხაზობრივსა და ერთფეროვან ლიგაზე მეტად მოწონთ.

თუიგამალა პირველ კატეგორიას ეკუთვნის. „ვინგერ ინგა“ ტომით სამოელი კია, მაგრამ ბევრი თანამემამულის მსგავსად ახალი ზელანდიის „ოლ ბლექსში“ თამაშით გაუთქვამს სახელი.

ზელანდიელთა ბრიტანული ტურნეს შემდეგ ინგა 1994 წლიდან „ვიგანში“ დარჩა და 13-კაცაშიც ივარგა. ასე გაატარა სამი სეზონი, 1995 წლის შემოდგომაზე კი ლიგის რაგბის საიუბილეო მსოფლიო თასზეც ითამაშა, ოღონდაც მშობლიური სამოას სახელით.

მერე დადგა პროფესიული რაგბის ხანა. ლიგელებს უადაღა აეხსნათ. ამასთან, ბრიტანეთში 13-კაცა საზაფხულო თამაშად იქცა. ამით ისარგებლეს რაგბის კლუბებმა და უქმად მყოფი ლიგელები შარშან შემოდგომაზე ნახევარი სეზონით დაიქირავეს. ასე აღმოჩნდა თუიგამალა ლონდონის „ვოსფსში“ და კიდევ სამოას რაგბის ნაკრებში, ბრიტანეთში ტურნეს რომ მართავდა. დუბლინში სამოას მიერ ირლანდიის ძლევა ინგას დღესაც უტკბეს მოგონებად ჰქონია.

ნაახალწევს თუიგამალა დაუბრუნდა „ვიგანს“, სადაც წესითა და რიგით 1999 წლამდე უნდა დარჩენილიყო. „ვიგანი“ შარშან დაჯაბნა ძველმა მეტოქე „სენთ-ჰელენსმა“, კლუბს კი დიდძალი ვალი დაედო. ინგასაც გული აღარ მიუწევდა უგემური 13-კაცასკენ. ამიტომ უთუოდ ხსნად აღიქვამდა „ნიუკასლის“ მაცდურ წინადადებას.

„ვიგანი“ ინგას იოლად ვერ შეელია, მაგრამ ოთხშაბათს მაინც ფულს დახარბდა. მისმა თავკაცმა ჯეკ რობინსონმა იხტიბარი არ გაიტეხა და ბრძანა, სამოელმა კარიერის პიკი ჩვენს კლუბში გაიარა. ისე კი, სადაც მიდის, იქაც წარმატებას ვუსურვებთო.

თუიგამალას ტრანსფერის თანხა სარეკორდო გამოდგა სრულიად რაგბისათვის. „ნიუკასლმა“ „ვიგანს“ 500 ათასი გირვანქა მისცა, ინგას პატრონყოფილ სუპერ-ლიგას კი ის 180 ათასი გირვანქაც დაუბრუნა, მოთამაშეს ამ ლიგის წევრობისთვის რომ ერგო.

ინგა ყოველმხრივ მოგებული დარჩა: დაუბრუნდა საყვარელ თამაშს, რომელსაც თავის დროზე ხელმოკლეობის გამო უგანა. „ნიუკასლში“ ჯამაგირად ორჯერ (!) მეტ ფულს აძლევენ, ვიდრე „ვიგანში“. გარდა ამისა, სამოას ნაკრებში ადგილს არავინ დაამადლის. ცოტა ძნელი დასაჯერებელი კია, მაგრამ თავის დროზე ბიჭისთვის ურჩევიათ, თუ „ოლ ბლექსში“ დამკვირდება გსურს, გვარი ანგლოსაქსური უიდაზე, ვთქვათ და „სმითად“ გადაიკეთეო.

რეზო ნემსაძე



ხვალ მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონი გამოვლინდება: ევროპის თასის მფლობელი, საფრანგეთის „ბრივი“ მასპინძლობს სამხრეთი ნახევარსფეროს ზე-12-ის გამარჯვებულს, ახალი ზელანდიის „ოუქლენდ ბლუზს“ (ოქლენდელ ლურჯებს).

ოქლენდი საფრანგეთს ინგლისიდან ჩავიდა, მერე კი გეზს სამხრეთი აფრიკისაკენ აიღებს, სადაც მარტის დამდეგს წლევანდელ ზე-12-ის ორი საწყისი მატჩი ელის ჩრდ. ტრანსვაალთან (პრეტორიაში) და ნარინჯთან (ბლუმფონტეინში).

შარიანობა

ზელანდიელი მორაგბეები საზოგადოდ აზიზი და ინტრიგანი ხალხია. პრეტორიელ მასპინძლებსაც უკვე პირობა წაუყენეს: 1 მარტს თქვენთან ერთობ ეცხელება, რის გამოც თამაში 4-ის ნახევრის ნაცვლად 6-ის ნახევარზე უნდა დავიწყოთო. პროვინციის რაგბის კავშირი ამას დაყაბულდა, მაგრამ ქვეყნისამ არა ქნა, აქაო და საკაბელო ტელევიზიას პროგრამა შედგენილი აქვსო.

ზელანდიელები უარს ვერ შეურიგდნენ და დაიქადნეს, თამაშამდე ერთი საათით ადრე ტემპერატურას გავზომავთ და თუ სინდიყი 28 გრადუსს აცდება, მოედანზე გასვლის შესახებ მეტოქეს თანხმირს გავუმართავთო. ოქლენდელები ამას იმით ასაბუთებენ, რომ საერთაშორისო ნორმებით მეტისმეტ სიცხეში ასპარეზობა თურმე ათლეტთა ჯანსაღთვის მავნებელი ყოფილა.

ინგლისში „ლურჯებმა“ ორივე თამაში მოიგეს. 13 თებერვალს 62 (10ლ, 6ვ) : 21 (3ლ, 3ვ) დაამარცხეს „ბრისთოლი“, I დივიზიონში IX ადგილზე რომაა და გავარდნისაგან ვეღარფერი იხსნის, 18 თებერვალს კი ლონდონში 33 (12) (5ლ, გ, 2ს) : 29 (22) (4ლ, 3გ, ს) აჯობეს „ჰარლიქვინზს“, საპრიზო ადგილის კანდიდატი რომაა.

ლონდონის მატჩი თავსხმა წვიმასა და ქარში გაიმართა, მაგრამ მაინც დაესწრო 8 750 მოსეირე. გუნდებმა შეცვლათა შეუზღუდავი რაოდენობა დათქვეს. სტუმრებს სათადარიგოები არც უხმიათ, მასპინძლებმა კი თუმც 24 კაცი (!) ათამაშეს, მეორე ტაიმში მეტოქეს მაინც ვერ გაუმკლავდნენ.

„ლურჯებმა“ ტლაპაში ბურთაობის შესაშური უნარი გამოამჟღავნეს. ლონდონელები ერთი პირობა 22:5 დაწინაურდნენ, მაგრამ შესვენებაზე შეცვალეს ლენარდი, ჰლუელინი, კობანი, ქარლინგი და ლაკრუა. სტუმრები მერე ორჯერ გაიჭრნენ წინ, გადაწყვეტი საჯარიმო კი ქეშმორმა (15) ბოლო წუთხელა შეაგდო. ზელანდიელთა ლელოები ვიდირის (14), ტონუუს (9), ლემას (11), კარტერისა (7) და ფრომონთის (4) ანგარიშზეა.

ოქლენდის გზას მაისის ბოლოს დაადგება სრულიად ბრიტანეთის ნაკრებიც. „ლომები“ აფრიკაში 13 მატჩს გამართავენ, მათ შორის — სამ ტესტს.

„ლომების“ მენეჯერია ინგლისის ბურჯ-ყოფილი ფრენ ქოთონი, მწვრთნელები კი შოტლანდიელები — იენ მაკგეჭანი და ჯიმ ტელფერი იქნებიან. ქოთონმა ორშაბათს გამოაქვეყნა ნაკრების კანდიდატთა წინასწარი, 62-კაცა სია, საიდანაც საბოლოოდ 35 ტურისტს ამოარჩევს.

სითამამე

ინგლისს სიაში 29 (!) წარმომადგენელი ყავს, უელსსა და ირლანდიას — 13-13, შოტლანდიას — მხოლოდ 9. დიდი აჟიოტაჟი მოყვა იმას, რომ შოტლანდიისა და ირლანდიის მმუსვრელი ინგლისის სამმეოთხედელებიდან „ლომებში“ ვერავინ მოხვდა.

ექს-კაპიტანმა ვილ ქარლინგმა რაგბს თაფლობის თვე ამჯობინა და დიდადაც შეურაცხყოფილი დარჩა, როცა მედიამ მისი უარი იმით ახსნა, რომ თითქოს ვილს მენეჯერისთვის ულტიმატუმი წაეყენებინოს, თამაშ-თავად უნდა დამნიშნოო. რაც შეეხება ინგლისის ახლანდელ კაპიტან ფილ დეგლენვილს, მის გასაგონად ქოთონმა ბრძანა, ნიჭიერი შუამავრები მრავლადა გვყავსო. ამათში მენეჯერი უთუოდ ინგლისელსავე ჯერი გასქოთს და ლიგიდან დაბრუნებულ უელსელებს — სქოთ გიბსსა და ალან ბეით